საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუბი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 24 თებერვალი. 2021 წ. №39 (9158) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ნაჯალათარო ნაციონალნო!

ბოროტების მიტევება უფრო დიდი ბოროტებაა!

ნიკა მელიას დაკავება მშვიდობიანად მოხერხდა!

ნიკა მელიას ედავებიან ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას და მასში მონაწილეობას. საქმე ეხება 2019 წლის 20 ივნისს პარლამენტის შენობასთან განვითარებულ მოვლენებს. მაშინ აქციაზე ნიკა მელიამ იქ შეკრებილ ადამიანებს მიმართა, რომ მათი ადგილი პარლამენტს გარეთ არ იყო და ისინი პარლამენტის შენობაში უნდა ყოფილიყვნენ. ამის შემდეგ სიტუაცია დაიძაბა და იქ შეკრებილები სამართალდამცველებს დაუპირისპირდნენ.

2019 წლის 27 ივნისის განჩინებით, ნიკა მელიას აღკვეთის სახით 30000-ლარიანი გირაო შეეფარდა, მაშინ პარლამენტმა მას დეპუტატის იმუნიტეტი პირველად მოუხსნა და სასამართლოს განჩინება აღსრულდა. მან პირველ ჯერზე გადაიხადა 30000 ლარი, თუმცა მას შემდეგ რაც, 2020 წლის 1 ნოემბერს პარლამენტთან აქციაზე ელექტრონული სამაჯური დემონსტრაციულად მოიხსნა, გენერალურმა პროკურატურამ კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს, რათა ნიკა მელიას გირაოს სახით 100 000 ლარი შეფარდებოდა, თუმცა სასამართლომ 40 000 ლარი განუსაზღვრა, რომელიც მან არ გადაიხადა.

ნიკა მელიას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა 17 თებერვალს შეუფარდა. მეორე დღეს, 18 თებერვალს, გიორგი გახარიამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა. ამასთან დაკავშირებით კი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მელიას საქმეზე დაგეგმილი ღონისძიება დროებით გადადო.

გუშინ დილით კი „ნაცების“ თავმჯდომარე დააკავეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: ნიკა მელია არის კრიმინალი, ყველა მოქალაქე ვალდებულია, დაემორჩილოს კანონის აღსრულებას

— **განაცხადა** ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„მე გუშინ ვრცლად ვისაუბრე ნიკა მელიასთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ მინდა, გავაკეთო შემდეგი კომენტარი, რომ ნიკა მელია არის კრიმინალი, სხვა საქმეზე მას აქვს მისჯილი და სასამართლომ დაადგინა, რომ იგი არის კრიმინალი. მე შეგახსენებთ, რომ ბატონი მელია გასამართლებული იყო ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმეზე. ეს მეორე საქმე, რისთვისაც პოლიციამ მაღალ დონეზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავა იგი, უკავშირდება სწორედ ამ შენობის შტურმის ორგანიზებას, რომელიც მან და მისმა თანაორგანიზატორებმა დაგეგმეს და ჩვენი სახელმწიფო ძლიერების გამოცდა გადაწყვიტეს.

კიდევ ერთხელ მინდა, გითხრათ ყველას, რომ ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს. ყველა მოქალაქე, განურჩევლად მისი მდგომარეობისა, მისი პოლიტიკური კუთვნილებისა თუ გემოვნებისა, არის ვალდებული და იქნება ყველა ვალდებული, რომ დაემორჩილოს კანონის აღსრულებას“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ქართველი ხალხის სახელით მხოლოდ პატიოსან ადამიანებს შეუძლიათ ლაპარაკი!



მარადიული სიმშვიდე

დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი გიანჯევი 6 7

რატომ არ დაუფასეს ნიკა გვარამიას რუსეთის ლანძღვა-გინება?! 8

წმინდა სახელები

5

გვიხმობს ის ზარი!..



აშშ-ის საელჩო შეშფოთებულია თავშეკავების უგულებელყოფის გამო!..

ვწუხვართ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები თავშეკავებისა და დიალოგისკენ უგულებელყოფილი იყო, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია.

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ღრმად არის შეშფოთებული მთავრობის გადაწყვეტილებით მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების გამო ამ დილით პარტიის სათავო ოფისში. ვწუხვართ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები თავშეკავებისა და დიალოგისკენ უგულებელყოფილი იყო. შეძრწუნებული ვართ კრიზისის დროს საქართველოს ხელმძღვანელი პირების მიერ გამოყენებული განხეთქილების გამომწვევი რიტორიკით. ძალისმიერი მეთოდები და აგრესია არ არის საქართველოს პოლიტიკური უთანხმოებების გადაჭრის გზა. დღეს საქართველომ უკან დაიხია ევროატლანტიკურ სახელმწიფოთა ოჯახში უფრო ძლიერი დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

კარლ ჰარცელი: ყველა მხარემ პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს!

ესკალაციის ლოგიკა იმარჯვებს, პოლიტიკური კრიზისი ღრმავდება, საერთო ენის გამონახვის მცდელობებზე უარი არ უნდა ითქვას, — საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ნიკა მელიას დაკავებასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

„ყველა მხარემ პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს და ქვეყნისა და საქართველოს ხალხის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს“.

NATO მოელის საქართველოსგან, შეინარჩუნოს ევროატლანტიკური დემოკრატიული სტანდარტები

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ამბობს, **რომ ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავება ღრმა შეშფოთებას იწვევს.**

მისი თქმით, NATO საქართველოსგან მოელის, რომ შეინაჩუნოს ევროატლანტიკური დემოკრატიული სტანდარტები.

„ყურადღებით ვაკვირდებით საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავება ღრმა შეშფოთებას იწვევს. NATO მოელის საქართველოსგან, როგორც ახლო პარტნიორისა და ასპირანტისგან, შეინაჩუნოს ევროატლანტიკური დემოკრატიული სტანდარტები, რომლის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის მან ამდენი იშრომა. ეს მოიცავს პოლიტიკური უთანხმოების დიალოგის გზით გადაწყვეტას და მაპოლარიზებელი რიტორიკისა და ქმედებებისგან თავის არიდებას“, — წერს აპატურაი.

ირაკლი კობახიძე: ნიკა მელიამ თვითონ დაიჭირა საკუთარი თავი!

ეს არის სახელმწიფო. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფო, სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს საკუთარ ღირსებას, სამართლის უზენაესობას, კანონის უზენაესობას, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ ბრიფინგზე ნიკანორ მელიას დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ნიკანორ მელია, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოირჩეოდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით და მზად იყო, ეკადრა ყველაფერი განსაკუთრებით ძალაუფლების დაბრუნების პირობებში, ნებისმიერი ადამიანის პატიმრობა თავისთავად არის მტკივნეული.

თუმცა, ნიკანორ მელიასთან დაკავშირებით შეგახსენებთ შემდეგს (მხოლოდ ფაქტებს):

— ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, პოლიტიკური მოტივით 2012 წელს ის აკოტრებდა კერძო ბანკს (ამ დანაშაულისთვის იგი უკვე ცნობილ იქნა სისხლის სამართლის დამნაშავედ);

— 2019 წელს ორგანიზებას უწევდა საქართველოს პარლამენტის შენობაში შეჭრას და პოლიციელებზე ძალადობას;

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2020 წელს ორგანიზებას უწევდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში შეჭრას და პოლიციელებზე ძალადობას;

— იყო პარლამენტის საბოტაჟის ერთ-ერთი მთავარი მოთავე;

— სახელმწიფოს ყოველდღიურად ემუქრებოდა იმით, რისი ცდილობისთვისაც წაყენებული აქვს ბრალი, კერძოდ ძალადობრივი რევოლუციით;

— დემონსტრაციულად გადააგდო ელექტრონული სამაჯური, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა სახელმწიფოს;

— შეეფარდა გირაო, რომელიც არ გადაიხადა ორი თვის განმავლობაში, რითაც კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა სახელმწიფოს;

— მხოლოდ ამის შემდეგ, დაუფასდა ყველა კრიმინალური და რადიკალური ქმედება და დაინიშნა ნაციონალური მოძრაობის ფორმალურ თავმჯდომარედ;

— პროკურატურის მიერ გირაოს გადახდის საბოლოო ვადის განსაზღვრის შემდეგ კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა სახელმწიფოს და განაცხადა — „არ გადავიხდი, ვერ დამიჭერთ“.

არ გადაიხადა, დაიჭირეს, უფრო სწორად თვითონ დაიჭირა საკუთარი თავი.

სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლისთავზე, ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვჭირდა ანტისახელმწიფოებრივ ძალებთან იმის დამტკიცება, რომ ეს არის სახელმწიფო, თუმცა სახელმწიფომ დღეს ეს დაამტკიცა!

დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის დღეს, წითელი პარტიის ბოლშევიკები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ქართულ სახელმწიფოს, თუმცა დადასტურდა, რომ თანამედროვე ბოლშევიკები — მიხეილ სააკაშვილები, ნიკა გვარამიები, გიგა ბოკერიები, ნიკანორ მელიები, ნინო ბურჯანაძეები, ნატო ჩხეიძეები და ირაკლი ოქრუაშვილები — ქართულ სახელმწიფოს ვერაფერს დააკლებენ.

მადლობას ვუხდით შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს და თითოეულ პოლიციელს, რომელმაც უზრუნველყო საკმაოდ რთული ოპერაციის სანიმუშოდ, ყოველგვარი ძალის გადამეტების გარეშე ჩატარება, სახელმწიფოს ღირსების დაცვა და კანონის აღსრულება.

არჩილ თალაკვაძე: მივმართავ ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებს, დაბრუნდნენ პარლამენტში!

მივმართავ ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებს, რომ დაბრუნდნენ ნორმალურ პოლიტიკურ პროცესში, საპარლამენტო პროცესში, ისე როგორც ეს საზოგადოებამ 2020 წლის არჩევნებზე გადაწყვიტა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, რიგგარეშე არჩევნები არ არის და ვერ იქნება მოლაპარაკების საგანი.

„არა მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილმა, არამედ მათ ჩვენც არაერთხელ მკაფიოდ ვუთხარით, რომ რიგგარეშე არჩევნები არ არის და ვერ იქნება მოლაპარაკების საგანი. ეს თვითონაც ძალიან კარგად იცოდნენ, უბრალოდ, როგორც რამდენიმე ოპოზიციონერმა საჯაროდ თქვა, ოპოზიციის ამ ბანაკში იყვნენ ადამიანები, ვისაც ჰქონდათ პირდაპირი დავალება მიცემული საკუთარი თანაგუნდელების მიმართ, რომ მოლაპარაკება არ უნდა შემდგარიყო და ის უნდა დაბლოკილიყო ნებისმიერ ფასად. სწორედ ამ ადამიანების სცენარმა და გზამ განიცადა სრული ფიასკო. ამიტომ, მივმართავ ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებს, რომ დაბრუნდნენ ნორმალურ პოლიტიკურ პროცესში, საპარლამენტო პროცესში, ისე როგორც ეს საზოგადოებამ 2020 წლის არჩევნებზე გადაწყვიტა“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

კახა კალაძე: დიალოგს და ნორმალურ, ცივილიზებულ ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს

საბედნიეროდ, დაკავების დროს არავინ დაშავებულა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია... დღევანდელმა დღემ გვაჩვენა და უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპაციის 100 წლისთავზეც ჯერ კიდევ არ ვართ შეთანხმებული ელემენტარულ სახელმწიფოებრივ პრინციპებზე.

„სამწუხაროდ, დღევანდელმა დღემ გვაჩვენა და უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპაციის 100 წლისთავზეც ჯერ კიდევ არ ვართ შეთანხმებული ელემენტარულ სახელმწიფოებრივ პრინციპებზე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს გაჯერებული კანონის პატივისცემა, რაც ავტომატურად იწვევს ერთმანეთის და სახელმწიფოს უპატივცემულობას. ზოგადად, ახლაც და მომავალშიც დიალოგს და ნორმალურ, ცივილიზებულ ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს. ერთადერთი, რაც ყველაზე დიდი პრობლემაა პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოსთვის, ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის, ეს არის რადიკალიზმი და რადიკალიზაცია, რაც უნდა დასრულდეს ამ ქვეყანაში“.

ამირან სალუქვაძე: პოლიციელები თმენის მაღალ სტანდარტს აჩვენებენ

სახელმწიფო არ უნდა გამოიწვიო. ეს აქსიომაა. ნებისმიერი სასამართლოს ნებისმიერი განაჩენი უნდა აღსრულდეს. **საბედნიეროდ სიკვდილით დასჯა არ გვაქვს. სხვა ნებისმიერი განაჩენი საჩივრდება ქვეყანაში, მის გარეთ,** — ამის შესახებ ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე სოციალურ ქსელში წერს. მისი თქმით, თუ სახელმწიფო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ვერ ახერხებს, ის სახელმწიფო არაა.

„ის, რომ სამაჯურს აგდებ, შემდეგ გაზრდილ გირაოს არ იხდი, დევნის ქვეშ მყოფ პირს პარტიის თავმჯდომარედ ირჩევ, შემდეგ ოფისში საკომენდატო საათის და ეპიდმოთხოვნების დარღვევით ოფისში ათობით ადამიანი მაგრდება, მუქარები, რომ ფიზიკურად დაუპირისპირდები, გამოწვევა და პროვოცირებაა, ეჭვი ვის ეპარება? რაც შეეხება საპოლიციო ოპერაციას, უკვე მერამდენედ გომელაური ისე ატარებს, ვერ შეედავები. პოლიციელები კი თმენის მაღალ სტანდარტს აჩვენებენ.

სულაც არ მანიჭებს სიამოვნებას ვინმეს დაკავება, მით უმეტეს ციხეში წასვლა. ათასჯერ მაქვს დაწერილი, პოლიტიკური პროცესების ადგილი პარლამენტშია და არა ქუჩაში. სახელმწიფო ინსტიტუტების შტურმი თუ ამერიკაშია მიუღებელი, იგივეა აქაც. დაამშვიდეთ ხალხი. ნუ იწვევთ ხელოვნურ დაპირისპირებებს. გამოდით 90-ანებიდან.

ნებისმიერი გადაწყვეტილება ან ქმედება, შეიძლება ძვირად დაუჯდეს პოლიტიკოსს, პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ გაცილებით ძვირი უჯდება სახელმწიფოს ის რეალობა, თუ ის თავის ფუნქციებს, მათ შორის სადამსჯელოს, ვერ ასრულებს“, — წერს ამირან სალუქვაძე.

ანზორ მელია: ბედნიერი ვარ, რომ სისხლი არ დაიღვარა!



მიუხედავად იმისა, **რომ ნიკა დაიჭირეს, ბედნიერი ვარ, რომ სისხლი არ დაიღვარა,** — ამის შესახებ კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ გენერალურმა დირექტორმა ანზორ მელიამ თავისი შვილის ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისივე თქმით, მას შვილი ბოლო 2 თვეა არ უნახავს. **„მას არც ოჯახისთვის და არც მშობლებისთვის არ ეცალა, რადგან თავი ჰქონდა გადადებული“...**

ის ისევ დაბრუნდება!

არა, ბატონო თუ ქალბატონო, იმას არ ვგულისხმობ, ვინც თქვენ გაიფიქრეთ! ბატონი ივანიშვილი ერთხელ უკვე დაბრუნდა და ის დაბრუნება, წასვლისას, წინდაწინვე ივარაუდა – თუ მეორედ მოსვლას არ დაემსგავსა ქვეყანაში ვითარება, არ დავბრუნდებიო! მოხდა ისე, რომ დაემსგავსა! ხოლო ამჯერად არანაირი წინაპირობა არ უხსენებია – წავედი და წავედიო!.. მორჩა და გათავდა!..

იყო ასეთი კინოფილმი – „ის ისევ დაბრუნდება.“ სხვათა შორის, თავის დროის შესაფერისი, მართალი და საჭირო კინოსურათი. 90-ს მიტანებულ კაცს, ეს კარგად მახსოვს და, როდესაც, პრემიერი ბატონი ღარიბაშვილი, ხუთი წლის წინათ, ცამოწმენდილზე მეხის გავარდნასავით, მოულოდნელად გადადგა, ამას რა დამავიწყებდა! ინჭორბიურომ კი (ოპოზიციის მთავარმა საინფორმაციო ორგანომ) უმალვე დაასკვნა – ნეპოტიზმმა შეიწირაო! მე კი ღმერთია მოწამე, გულში გავიფიქრე, ის ისევ დაბრუნდება!

სხვათა შორის, ნეპოტიზმთან დაკავშირებით, ბატონმა ბიძინამ ბრძანა – იმდენად მცირერიცხოვანი ქვეყანა ვართ, ყვავი ჩხიკვის მამიდა არ დაილევაო! ამის გამო, სანდო და კვალიფიციურ კადრზე თუ უარს ვიტყვით, მაშინ მოგვიწევს წამყვან თანამდებობებზე უცხოეთიდან მოვიწვიოთ პროფესიონალებიო!

ჩვენზე ათჯერ და მეტადაც მრავალრიცხოვან ქვეყნებშიც კი, ხდება, უცხო წარმომავლობის პირები ხდებიან ლიდერები და ამაში გასაკვირი არაფერია, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ხან ფერადკანიანია, ხან – შოტლანდიელი თუ ირლანდიელი, ხოლო საფრანგეთის – ბერძენი და ა.შ. მაგრამ, ოპოზიციამ ივანიშვილის ნათქვამი, რასაკვირველია, ნეპოტიზმის გამართლებად ჩათვალა!

გადადგომის წინა დღეებში, ბატონმა ღარიბაშვილმა გარკვევით და, ლამის, დამარცვლით განაცხადა: სანამ ხელისუფლებაში ვარ, ამ ქვეყანაში, ქალის ქალზე თუ კაცის კაცზე... და ამისთანა ანომალიები ვერ გაიჭაჭანებსო!

აი მიზეზი, ბატონებო, აი მიზეზი!

პაპუასად არ ჩამთვალოთ და არ დამიწყოთ ლათაიები – ჩვენი ხელისუფალი რასაც იტყვის, რა სხვების საქმეაო!

ყურადღებით მისმინეთ და გეტყვით – ვისი საქმეცაა!

რონალდ რეიგანის აღიარებით, პოლიტიკა მეორე უძველესი პროფესიაა, რომლის მსგავსებაც პირველთან არანაირ ეჭვს არ იწვევსო! პირველი კი, უკაცრავად ვარ, მაგრამ მეძავობაოო (არადა, მანამდე ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ჟურნალისტიკაა მეორეო!).

არა უშავს, შევუნდოთ გარდასულს! მაგრამ მაინც სარისკო აღიარებაა ისეთი სახელგანთქმული პრეზიდენტისგან, როგორიც რეიგანი გახლდათ (მას უდიდესი წვლილი მიუძღვის საბჭოეთის ჩამოშლაში).

ოღონდ, არანაკლებ ღვაწლმოსილი ფრანგი პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის მეტად დამაფიქრებელი განმარტებით, იგივე პოლიტიკა ძალზე სერიოზული საქმე ყოფილა იმისათვის, რომ ის პოლიტიკოსებს ვანდოთ!

მართლაც, თუ ჭეშმარიტად ობიექტურნი ვიქნებით ანუ არცერთ მხარეს წაგვძლევს ანტიპათია-სიმპათიები, მივხვდებით, რომ გენერალი დე გოლი ცამდე მართალია!

მართალია იმიტომ, რომ დღევანდელ საქართველოში, უკეთ, ამჟამინდელ მწვავე, პოლიტიკურ კრიზისში, არცერთი მხარე, არ ითვალისწინებს პრობლემის გადასაჭრელად, ერთადერთ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს – ლოგიკურობას!

მაშ აბა და, თუ კი გაერო, ევროკავშირი, ნატო გიგანტი დასავლეთევროპული სახელმწიფოები 2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს დემოკრატიულად მიიჩნევდნენ და შედეგებიც საეჭვოდ არ მიაჩნდათ, თუკი ისინი გუშინ ერთხმად მოუწოდებდნენ ოპოზიციონერ დეპუტატებს, შესულიყვნენ პარლამენტში და იქ განეგრძოთ დებატები პრობლემის გადასაჭრელად, დღეს რა პირით მოუწოდებენ სამართალდამცავ ორგანოებს – შეწყვიტონ ანტიკონსტიტუციურად მოქმედი ე.წ გაერთიანებულ ოპოზიციის მიმართ კანონიერი სანქციები?!

ბოლოს და ბოლოს, ხომ არ (ვერ) უარყოფს ბ-ნი მელია, რომ შარშანდელი 20 ივნისის მოვლენების დროს, პარლამენტისწინა მოედანზე შეგროვილ ეგზალტირებულ მასას როგორ მოუწოდებდა პარლამენტის შენობაში შესვლას და არა – პარლამენტის ეზოში! – როგორც ახლა, იმ კადრების ჩვენებისას, ურცხვად უმატებს ხოლმე!

ხომ არ(ვერ) უარყოფს უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი იმ ფაქტის კონსტატაციას, როცა აღიარებს, საქართველოს მთავრობა 20 ივნისს წკიპზე გადარჩა და... სულ ცოტა დააკლდაო!..

ერთი სიტყვით, სად არის ლოგიკა!

გუშინ თუ მართლები ვიყავით, დღეს რატომ აღარ ვართ?!

თუ ლოგიკა-მოგიკა, პოლიტიკა-მოლიტიკა, როგორც ბალღისთვის საწოვარა, მარტო ჩვენთვის ყოფილა მოგონილი?!

ვინ გამოგვიტანა ასე მკაცრი და ხელშეუვალი ვერდიქტი?!

როგორ არ გაგახსენდეს კაცს „Сейчас есть... Сейчас – нету!“

ან: „ჰო, გეკუთვნის, მაგრამ... არ გეკუთვნის!“

ცხონებულ შარლ დე გოლს, ეტყობა, გენიალურად განუჭვრეტია მსოფლიოს მომავალი, **როდესაც პოლიტიკა პოლიტოკოსების საძმე აღარ იძნება, რომ მსოფლიო წესრიგს განაგებს ვიღაც უხილავი, ვისაც არც სახელი ეძნება და არც – გვარი!**

კი მაგრამ, მაშინ რაღა საჭიროა დამოუკიდებლობა, პარტიები, პარლამენტები, სამთავრობო ინსტიტუციები?!

ალბათ, იმიტომ, რომ წამოწვნენ მდელოზე გაშლილი ნოყიერი სუფრის გარშემო და იღიღინონ ხოლმე: ვაი შენ, ჩემო თეთროო ბატოო...



გიზო ზარნაძე.
ტელ:599538274

ღარიბაშვილის მოსვლით ვითარება დაბალანსდა

პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ მოსვლის ფაქტმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ფაქტორი „ქართული ოცნებაზე“ უარყოფით ასახვას პოვებს, რადგან თავდაცვის ყოფილი მინისტრი გიორგი გახარიას საპირწონედ ვერ მოიაზრება. მეორე ნაწილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილი ხელისუფლებაში ერთ-ერთ ყველაზე ხისტ ფიგურად მიიჩნევა, იგი ერთ-ერთი საინტერესო ლიდერია მმართველ გუნდში.

აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი გახარიას გადადგომამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა „ქართულ ოცნებას. გამოიკვეთა, რომ მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბევრი ღიად თუ ფარულად პატივს სცემდა. შესაბამისად, უნდა ითქვას ისიც, რომ გიორგი გახარიას რეიტინგი საკმაოდ მაღალი იყო და მის ერთგვარ შემცვლელად და პრაქტიკულად იგივე რეიტინგის მქონე პირად, ირაკლი ღარიბაშვილი ვერ მიიჩნევა.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გიორგი გახარიას წასვლის ფაქტი ამ პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ მოსვლით დაბალანსდება. მისივე თქმით, ღარიბაშვილი ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, თავად მის კიდევ ერთხელ გაპრემიერებას არ მოელოდა.

„ვისაც ოპოზიცია ცუდად აფასებს, მეორე მხარე კარგად აფასებს ხოლმე. ამიტომ მათთვის ღარიბაშვილი, რა თქმა უნდა, უარყოფითი ფიგურაა. ოპოზიცია ცუდად აფასებს ღარიბაშვილს, რადგან ებრძოდა და ალბათ, მომავალშიც შეებრძოლება. სწორედ იგივე მიზეზების გამო, მეორე მხრიდან ღარიბაშვილს მხარს უჭერენ.

არ მეგონა, რომ ღარიბაშვილს დააბრუნებდნენ, რადგან ერთი და იგივე კაბინეტში ადამიანი ორჯერ არ შედის ხოლმე, მაგრამ ძლიერი სვლა გაკეთდა იმ მხრივ, რომ ასევე რეიტინგულია ღარიბაშვილი. ამდენად სიტუაცია დაბალანსდა.

ზოგადად, „ოცნებაში“ სხვა, მკვეთრი, წითელი ფერის ფიგურები, არც ერთ მხარეს მოსწონს, არც მეორეს და არც მესამეს. მათ მოწონება ვერ დაიმსახურეს, რაც შეიძლება ასაკის ბრალია, ახალგაზრდები არიან. ამიტომ, წონიანი, რეიტინგული ფიგურის მოძებნა ადვილი არ იყო „ოცნებაში.“ ხელისუფლების ინტერესებს თუ გავითვალისწინებთ, აირჩა ფიგურა, რომელსაც შეუძლია „ოცნების,“ როგორც პარტიის სიძლიერეში, თავისი წვლილი შეიტანოს“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ .

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** ფიქრობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ფაქტორი „ქართული ოცნების“ რეიტინგზე უარყოფითად აისახება, რადგან ღარიბაშვილის მიმართ წინა პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, ბევრი პრეტენზია არსებობდა.

„ღარიბაშვილის მეორედ მოსვლა თანამდებობაზე ნეგატიურად აისახება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, თუ გავითვალისწინებთ და გავიხსენებთ, ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობის პერიოდს.

ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი გახდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ამ დროის განმავლობაში ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გაუარესდა. გახარია ღარიბაშვილს არ უდრის. მიუხედავად იმისა, რომ გახარიას მიმართ არსებობს პრეტენზიები 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ იგი შედარებით დამოუკიდებელი ფიგურა იყო. არ გამოირჩეოდა დიდი მლიქვნელობით ივანიშვილის მიმართ, როგორც ღარიბაშვილი.

ირაკლი ღარიბაშვილი მეტად არის დამოკიდებული ბიძინა ივანიშვილზე, ვიდრე გახარია. გიორგი გახარიამ თავისი დამოუკიდებელი შეხედულებები გამოავლინა თუნდაც გადადგომის დღეს.

ღარიბაშვილი კიდევ უფრო მეტი სიხისტით გამოირჩევა. გახარიას მომხრე არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, რომ მას ვაჟკაცობა ეყო და ბოდიში მოიხადა „ბასიანის“ საქმესთან დაკავშირებით, როდესაც იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. 20 ივნისის მოვლენები კი თავის თავზე აიღო და თქვა, რომ მან გასცა ბრძანება. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ ივანიშვილი იძლეოდა ბრძანებას“, – განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ნიკო ჩოხელი

ოპოზიცია 26 თებერვალს აქცია-მსვლელობის გამართვას გეგმავს

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ხატია დეკანოიძემ 26 თებერვალს, 15:00 საათზე ოპოზიციის აქცია დააანონსა.

როგორც დეკანოიძემ განაცხადა, აქცია-მსვლელობა ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება.

„მიუხედავად მძიმე პოლიტიკური კრიზისისა, მიუხედავად ნიკას წინააღმდეგ აღძრული საქმისა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვესმოდა კონსტრუქციული წინადადებები ხელისუფლების მხრიდან, ოპოზიცია გამოვიდა წინადადებით, მათ შორის ეს იყო ნიკას ინიციატივა, რომ ამ მძიმე პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტისთვის აუცილებელი იყო შეთანხმება და მოლაპარაკებები. საერთაშორისო პარტნიორებთან მოლაპარაკების შემდეგ, ჩვენ გადავდეთ 25 თებერვლის აქცია. დღეს მოხდა ის, რაც მოხდა ბოლშევიკების მიერ, მოხდა დარბევა ჩვენი ოფისის, ნიკას გატაცება, ადამიანების დაშავება. ახლა, ჩვენ, თითოეული პატრიოტი, თვითონ ნიკა მელია მოგიწოდებთ, 26 თებერვალს 15:00 საათზე ფილარმონიიდან დავიწყოთ დიდი მსვლელობა, რომელიც მიეძღვნება ოკუპაციას, როდიონოვების, გავრილოვების წინააღმდეგ და რაც მთავარია, ეს იქნება მსვლელობა, რომელიც იქნება თავისუფლებისთვის. სიმბოლური წელია და სიმბოლურია, რომ ბოლშევიკები კვლავ მოვიდნენ ჩვენი სამშობლოს სათავეში. საქართველოს ყველა მოქალაქეს მოგიწოდებთ, არ შევშინდეთ“, – განაცხადა დეკანოიძემ.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲜᲐᲪᲗᲐ ᲝᲤᲘᲡᲘ, ᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲜᲘᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲛᲐᲪᲜᲔᲐ...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, რაც უმალ გეცემა თვალში, ის არის,რომ ყველაფერი, რაც მოხდა და ხდება, მოხდა კარგად გათვლილი სცენარით, არ ვიცი, ვისი მოფიქრებულით და ნადირიჟორალით, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ წვრილად და ლოგიკურად არის ასხმული.

დავიწყოთ იმით,რომ ნაციონალური პარტიის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ საყოველთაოდ გამოაცხადა დაუმორჩილებლობა: მოიხსნა და გადააგდო მაჯაზე შებმული „ელექტროკონტროლიორი“, მე არ გადავიხდი მოსჯილ გირაოს თანხას, მოდით და, თუ ბიჭები ხართ, დამიჭირეთო.

როგორც იტყვიან, ცუდი საქციელი გადამდებია. ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ მელიას დაუმორჩილებლობა მოიმარჯვა და, როცა ხელისუფლებამ მისი ბარი „აფარა“ 2000 ლარით დააჯარიმა კომენდანტის საათის დროს „ოფიციალური ღონისძიების გამართვისთვის“და გააფრთხილა, გამეორების შემთხვევაში საერთოდ დაგხურავთო, ზურაბ-გირჩმა ამაყად განაცხადა, ბარი მუშაობას გაგრძელებს, სანამ არ დამიჭერენ, ეს პოლიტიკური დაუმორჩილებლობის აქტიაო, ვერ გამაჩერებენ, თუ დახურავენ, ლუქს ავხსნი და გავაგრძელებ მუშაობას, ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევთ, დამაპატიმრონო.

ეს ორივე „მებრძოლი პროტესტი“ და „პოლიტიკური დაუმორჩილებლობა“ გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. როგორც ჩანს, შეირჩა ორი კანდიდატი — მელია და ჯაფარიძე. საბოლოოდ მელიამ გადაძალა, როგორც მნიშვნელობით უფრო წონიანმა. იგი მოიწონა თვით მიშა სააკაშვილმა: „შეეცდებიან დაჭერას, ვუი მაგათ პატრონს და თუ ვერ დაიჭერენ, ვაი მაგათ. თუ მთავრობა ძალადობას და ძალმომრეობას გამოიყენებს, ამას სამართალთან არავითარი კავშირი არა აქვს. ნიკა მელია მაგარი ლიდერია, მისთვის ყველამ უნდა ვიბრძოლოთ“.

ყველაფერი გარკვეულია: სათქმელი ნათქვამია, სამოქმედო გეგმა მოცემულია. ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ნიშანსვეტად ნიკა მელია იქცა, მისგან გმირი უნდა შობილიყო, რომელიც არ უშინდება ციხეს და რეპრესიებს და საერთო ინტერესებისთვის, ლამის მიმქრალი კოცონის ასაგიზგიზებლად საკანში ჯდება.

ძველთაგან ნათქვამია: დაე, ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ კანონი აღსრულდესო! კარგად არის ნათქვამი. იმ ქვეყნის ფასი გროშ-კაპიკია, სადაც კანონი არ კანონობს, სადაც ფეხებზე იკიდებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, სადაც ნებისმიერ პარტიულ ბოსს, ნებისმიერ კევიღეჭია მოქალაქეს ძალუძს არად ჩაგდოს, მიაფურთხოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ აკრძალვას. საზოგადოების სიჯანსაღე იმის მიხედვით განისაზღვრება, რამდენად კანონმორჩილია იგი.

ზემოთ მოხმობილი ნიკა მელიასა და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის დეკლარირებული პროტესტები პირდაპირი მოწოდება იყო პოლიტიკური დაუმორჩილებლობისკენ, რასაც გრძელი კუდი უნდა გამობმოდა და თავის მხრივ ამასაც შეერყია არსებული ხელისუფლება.

ის, რომ მელია თავისი ქმედებით დასტურ იმსახურებდა დაპატიმრებას, ისეთი ორთოდოქსი ნიკისტიც კი ვერ მალავს, როგორიც გიორგი ბარამიძეა: **„მე რომ შს მინისტრი ვყოფილიყავი, ნიკა მელიას ეგრევე ან მეორე დღესვე დავაკავებდიო“**. გაგიმარჯოს ღმერთმა! ოღონდ ვითარება სხვაგვარად წარიმართა. წარიმართა იმგვარად, როგორც არამც და არამც არ უნდა წარმართულიყო.

თავიდანვე, როგორც კი თბილისის საქალაქო სასამართლოში ნიკა მელიას პროცესი დაიწყო

და წინა დღესაც, თვალსაჩინო იყო, რომ ყველაფერი უფრო მეტ დაკვირვებასა და გათვლებს საჭიროებდა. აქ ცივი გონება და ცხელი გული უნდა ჩართულიყო საქმეში. მოსამართლემ, რომელსაც მთელი პროცესის მანძილზე, მთელი ექვსი საათის განმავლობაში აშკარად, შეუფარავად აშანტაჟებდნენ და აშინებდნენ მელიას ადვოკატები, განსაჯა ისე, როგორც უნდა განესაჯა, მაგრამ კონიუნქტურის შესაბამისად შეიძლებოდა სხვა გადაწყვეტილებაც მიეღო, ამისთვის მას, ალბათ, არავინ დაძრახავდა. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორც ჩანს, ხელისუფლების პოზიციაც უნდა დახმარებოდა. ეს ისეთი შემთხვევა იყო, როცა სასამართლოს მიერ მთავრობის, პარტიის აზრის გაზიარება საპატიებელი, გამართლებული იქნებოდა. მით უფრო, რომ, როგორც გაირკვა (პრემიერ-მინისტრის განცხადებით), ამაზე ლაპარაკი ყოფილა ხელისუფლების უმაღლეს წრეებში და დამარცხებული (შედარებით რბილი გადაწყვეტილების მომხრე) გიორგი გახარია გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან და ამით, როგორც აშკარად იკვეთება, დიდი უბედურება ააცილა ქვეყანას: ნაცმოძრაობის ოფისში თავშეყრილი ოპოზიცია ავად იმუქრებოდა, მელიას არ გაგატანთო; თუ სამართალდამცავები ძალით შეეცდებოდნენ მის დაკავებას, შეჯახება და ძალადობა გარდაუვალი იქნებოდა. აი, ეს განჭვრიტა ყოფილმა პრემიერმა.

ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი მადლიერებით წერს: „ბრავო, გახარია! ისევ ჩაშალა რევოლუცია, სისხლისღვრა და დესტაბილიზაცია, რაც გარდაუვალ ნაბიჯად მიაჩნდათ. როგორ იყვნენ დარწმუნებულები, რომ სამართალდამცავები შტურმით აიღებდნენ **„გმირის“ ოჯახს!“**

ზემოთ ვთქვი, რომ ადვოკატები პროცესზე მოსამართლეს აშანტაჟებდნენ და აშინებდნენ, შენი დღევანდელი გადაწყვეტილებით (თუ ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის სასურველი არ იქნებაო) შენი ოჯახის წევრებს, შვილებს და შვილიშვილებს მოუწევთ წლების შემდეგ თავის მართლება და სირცხვილის ოფლის მოწურვაო.

ეს „მეთოდი“ სულაც არ აღმოჩნდა ერთჯერადი. გიგი უგულავამ იგი ძალოვანებს დაუპირისპირა: **ნუ გგონიათ ჩაფხუტები დაგიცავთ, თქვენი სახელების, გვარების და კოორდინატების გაგება არ გაგვიჭირდებაო, ანუ პასუხს გაგებინებთო, ოჯახებში მოგაკითხავთო. უგულავამ უბრალოდ გაიმეორა და „შემოქმედებითად განავრცო“ მიშა სააკაშვილის მოწოდება-განაცხადი.** ოპოზიცია ბეჯითად მიჰყვება გეგმას: მუდმივ მღელვარებასა და შიშში ამყოფოს ქვეყანა.

და პირდაპირ მიზანში ხვდება ჟურნალიტ ნინო ხარაზიშვილის პოსტი: „ნაცმოძრაობა უნიათო მშობლების გაუზნეურებული შვილია, რომელიც ცდილობს ოჯახი მუდმივად აცხოვროს თავისი პრობლემებით.“

ჰომო ნოვუს-ახალი ადამიანი, მეტიჩარა, მატრაკვეცა...

მოვლენის გმირმა ნიკანორ მელიამ ქვეყანას გამარჯვება(?) მიულოცა.

სალომე სამადაშვილმა ეს „გამარჯვება“ უფრო გამომსახველად წარმოაჩინა, ოცნების ხელისუფლებას გვამური ლაქები დაეტყოო.

გიორგი ვაშაძე კი — აბსოლუტურ საგიჟეთში ვართო.

ჩვენ თვალწინ იშვა არა მხოლოდ „გმირი“, არამედ „ბელადი“: ოპოზიციამ ნიკა მელია „თავისუფლების სიმბოლოდ“ აღიარა, შეჰღაღადა — „სამოქალაქო მშვიდობისა და თავისუფლების დამცველი“ ხარო. უფრო შორსაც წავიდნენ: გამოითქვა აზრი, რომ ოპოზიციურ მოძრაობას ეწოდოს ეროვნულგამათავისუფლებელი მოძრაობა, რა თქმა უნდა, ნიკა მელიას ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს იდეა არ დათავთავებულა, მალევე ჩაქრა. რატომ? სიმპტომური გახლავთ გიგა ბოკერიას პასუხი ტელეჟურნალისტ გოგონას აჟიტირებულ შეკითხვაზე: ამ იდეაზე რას იტყოდითო? გიგას, რომელიც „გამარჯვების დღეს“ ნაცების ოფისში კი იყო, მაგრამ სხვა ლიდერები რომ დაუღალავად კოხტაპრუწაობდნენ ტელეობიექტივების წინაშე, თავს არიდებდა ეკრანსაც და მგზნებარე რევოლუციურ განცხადებებსაც, აშკარად დაეტყო გაღიზიანება და საკმაოდ ხისტად უპასუხა, ჩვენ ვართ ოპოზიცია, ვართ კონკრეტული პარტიები, ყველანი ჩვენ-ჩვენი წინამძღოლებით და რა შუაშია აქ ერთი საერთო ლიდერიო?!

ნაცმოძრაობის ოფისში განვითარებულმა მოვლენებმა და „გამარჯვების“ შეგრძნებამ ბევრ აწ ჩამქრალ „ვარსკვლავს“ აუფუთფუთა კვლავ აკაშკაშების სურვილი, ბევრ ისეთ ვინმეს ნახავდით და მოუსმენდით იქ, თვითონაც რომ აღარ სჯერა თავისი არსებობა.

სხვათა შორის, მოხდა ამბავი, რომელმაც წამიერად გაიელვა ტელეეკრანზე, რის გამოც ბევრმა ვერც შეამჩნია. დავიწყების მარადისობიდან გამოკრთა ვანო მერაბიშვილი, რომელმაც „საჭმელი“ და „ხილი“ მიუტანა შენობაში გამაგრებულ „რევოლუციონერებს“ და სიტყვა არ დაუძრავს, შიგნით არც შესულა, ლიდერები არც მოუნახულებია, ისე დაახვია უკან.

ბოროტი ენები ამბობენ,ამ ყუთებში იარაღი იყო, ხოლო ზემოდან ხილი ეყარაო!!!

ამან უუმური ფიქრები აღმიძრა ცხოვრების ამაოებაზე. მანამ, სანამ ციხეში იჯდა, დროდადრო მაინც გაიხსენებდნენ ხოლმე, მატროსოვზე რომ ზის, ის ვანუაო. ახლა კი, როცა უნდა, დადის და როცა უნდა, წევს, აღარავის ახსენდება აღარც მინისტრად, აღარც პრემიერ-მინისტრად და აღარც — უბრალოდ კაცად!

მაგრამ ისევ მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ. „გამარჯვებული“ ოპოზიცია აცხადებს, ჩვენი მიზანი მშვიდობიანი თანაარსებობაა, პროვოკაციების წინააღმდეგი ვართო. მაგრამ სულმა წასძლია და პარასკევსვე მამალი პროვოკაცია მოაწყო პარლამენტის წინ, ამ საქმის აღიარებული ოსტატის ლევან ხაბეიშვილის მეთაურობით.

მასთან ერთად აქტიურად ირჯებოდნენ გიორგი კაპანაძე (კაცი, რომელიც დაბერდა და ჭკუა ვერ ისწავლა) და ახალგაზრდა, მზარდი ლელოელი საბა ბუაძე. ექსცესი მოხდა შაბათსაც.

ისე რომ, ოპოზიცია თავისი „გამარჯვების“ ბოლომდე მისაყვანად, როგორც ჩანს, არაფერზე უკან არ დაიხევს, მან საქმიანად აამუშავა თავისი საერთაშორისო კავშირებიც. ამასთან, ხიშტებით შეხვდა მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს და რატომღაც ჩათვალა, რომ წინ აღარაფერი დაუდგება.

„ქართული ოცნება“ კი, დროა, პირველი შოკიდან გამოვიდეს და საქმეს მიხედოს. ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერება გარდამტეხი უნდა გახდეს ქვეყნის მოღალატე ნაცებთან და ძალად გაერთიანებულ ოპოზიციასთან ბრძოლაში...

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

P.S.

ეს წერილი გაზეთის წინა ნომრისთვის დაიწერა, მაგრამ იმ ნომრის უფრო აქტუალური მასალებით გაჯერების გამო, დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

ამასობაში კი ვითარება ელვის სისწრაფით შეიცვალა: სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია ჩააგარეს ნაცმოძრაობის ოფისში და იქ უამრავი დამცველის თანხლებით გამაგრებული ნიკა მელია უმტკივნეულოდ დააკავეს, ისე რომ, უამრავ დამცველთაგან სერიოზულად თითიც კი არავის წამოსტკენია, არცერთი თავი და ცხვირი არ გატეხილა და, შესაბამისად, არცერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა.

თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერმა მთლად უმტკივნეულოდ ჩაიარა. ამ ამბავს მოჰყვა უცხოელთა კრიტიკის ქარიშხალი ხელისუფლების მიმართ, გაიმართა სახელდახელო საპროტესტო მიტინგი (თუმცა, არა ისეთი გრანდიოზული, როგორსაც მისი ავტორები გვპირდებოდნენ) სახელმწიფო კანცელარიასთან. ეს ყველაფერი სამწუხაროა, მაგრამ ერთი კია, ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ ქვეყანაში კანონი კანონობს!

Ა. Ა.



რედაქტორისგან

დღეს, თბილისის შუაგულში ოკუპანტთა წითელი დროშის აღმართვიდან 100 წლის შემდეგ, ასკეცად გამძაფრებული გვაქვს გრძნობა ქედმოხრისა ყველა იმ გულანთებული მამულიშვილის წინაშე, ვინც კი თავისი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

სწორედ ამ საყოველთაო მადლიერების ჟესტი გახლდათ კოჯრისა და ტაბახმელის სიახლოვეს, იქ, სადაც მტერთან უთანასწორო ბრძოლას ქართველი იუნკრები შეეწირნენ, მათი ხსოვნისადამი მიძღვნილი მემორიალის აღმართვა 1989 წლის თებერვალში. მემორიალის ავტორი გახლდათ არქიტექტორი გივი ჯაფარიძე, პროექტის განხორციელება ითავა დავით ციციშვილმა, ხილო თავად იდეა იუნკერთა მარადიული ხსოვნის ამ ვიზუალური სიმბოლოსი ზაზა აბზიანიძეს ეკუთვნოდა.

გასაკვირი არაა, რომ სწორედ დღეს მოგვინდა გაგვეხსენებინა ეს ისტორია (რომელიც მკითხველს პირველად ჩვენმა გამორჩეულმა კოლეგამ, აწ განსვენებულმა ნანა ღვინეფაძემ გააცნო), აქვე დაგვერთო ზაზა აბზიანიძის გამოსვლის ტექსტი მემორიალის გახსნაზე და მისივე ერთი, მართლაც გულიჩამწვდომი ლექსი.



გვიხმობს ის ზარი

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, აქვე, კოჯრის ციხის შემოგარენში, ნახავდით მემორიალურ სტელას, რომელიც 1921 წლის თებერვალში საქართველოს „გასათავისუფლებლად“ (ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, წინწკლებში ჩასმული არ გახლდათ) აქ მოსული მე-11 წითელი არმიის ჯარისკაცთა „უკვდავსაყოფად“ იყო აღმართული. იმავე კოჯორში, თითო-ოროლა მოხუცი თუ მიგასწავლიდათ, სად მიგეკვლიათ ამ, მომხდურ ჯარიკაცთაგან გულგანგმირული ქართველი მამულიშვილების მივიწყებული საფლავებისათვის.

იმ საფლავებთან ერთად, ჩვენ ჩვენი ეროვნული ღირსება და ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა გადავთელეთ. და იმავე დღეს, როდესაც დავივიწყეთ ჩვენი თავდადებული წინაპრების — იუნკრებისა თუ ჯარისკაცების სახელები, აქ სისხლს რომ ღვრიდნენ, იმ დღეს, იმ სახელებთან ერთად, ჩვენ ჩვენივე ისტორიული მეხსიერების წიგნიდან ტრაგიკული სტრიქონები ამოვშალეთ...

ჩვენს საგულდაგულოდ დაგმანულ ყურთასმენამდე კოჯრის ნიავს აღარ მოჰქონდა 1921 წლის თებერვალში აქ გამართული საბედისწერო ბრძოლების ექო, ჩვენს წინაპართა უკანასკნელი ამოკვნესა, ლოცვა თუ საყვედური. გასაბჭოებული საქართველოს სამოცდაათწლიანი არსებობის რეჟისურა სწორედ ამ სიყრუეს ეყრდნობოდა. სხვაგვარად ქართველ კაცს ვერ შეაგონებდნენ, რომ მისი დამპყრობნი — თურმე მისი განმათავისუფლებელნი არიან; ზურგში დანის ჩამცემნი და მოღალატენი — ერის მოამაგენი და მოწამენი კი — სასიკვდილოდ გასამეტებელი მტრები და ამოსაძირკვი სარეველები.

ამგვარი ფარსი შეუძლებელია არ დასრულებულიყო და, ჩვენდა საბედნიეროდ, მგონი, ამ დასასრულის დღეც ახლოვდება. ახლოვდება იმ ადამიანთა მოწამეობრივი ცხოვრების ფასად, რომელთა სიტყვასაც ჩვენ ესოდენი გულისყურითა და ნდობით ვისმენთ; ახლოვდება, როგორც ეს ისტორიაში ხშირად ხდება ხოლმე — დაღვრილი უმანკო სისხლის ფასად...

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნელინელ თავის კუთვნილ ადგილს იკავებენ ჩვენი ეროვნული გმირები და რელიქვიები და ასევე ნელინელ უჩინარდებიან ჩვენი თვალსაწიერიდან ძველი კერპები, ძეგლები, მოწოდებები და ლოზუნგები...

დღევანდელი დღე, ჩვენი აქ თავმოყრა, ხოლო ცოტა უფრო ადრე — ჩვენი ერთსულოვანი შეკავშირება ამ მემორიალის ასაგებად, ჩვენი ერთობლივი გულისწადილი, რათა ნაგვიანევად მაინც გამოგვეხატა მადლიერებისა და თაყვანისცემის გრძნობა ტაბახმელასა და კოჯორთან დაცემული რაინდებისათვის, — ყოველივე ეს, — ჩვენი ეროვნული გამოფხიზლების კიდევ ერთი ნიშანია.

ისიც სიმბოლურია და ნიშანდობლივი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთა წმინდა სახელების ხსოვნამ დღეს, აქ, მემორიალის გახსნაზე ერთობ განსხვავებული შეხედულებების ადამიანები გაგვაერთიანა. დიახ, ესეც ნიშანდობლივია, რადგან დღეს უკვე ვიცით, რომ 1921 წლის ტრაგიკული გაკვეთილი, პირველ ყოვლისა — ურთიერთდაუნდობლობის, ურთიერთღალატისა და ურთიერთგამეტების გაკვეთილია; რადგან გვახსოვს დამოუკიდებელი საქართველოს მემატიანის, ზურაბ ავალიშვილის წიგნის მრავლისმეტყველი ფინალი: 25 თებერვალს, 1921 წელს, საბჭოთა ჯარები შედიოდნენ თფილისში; წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველი კომისართაგანი. მას გვერდით უხილავად მიჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი, და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა გაიქცა ევროპაში მას შემდეგ, რაც ეროვნული კატასტროფით დაამთავრა მოღვაწეობა იმ ქვეყანაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო, რომელიც მას ერწმუნა სავსებით.

მაგრამ მეხსიერება დაშორდა პიროვნებებს; დავიწყების ფერფლით დაიფარება მათი შეცდომები... ცოცხალის წყლით ნასხურები აღსდგა ძველი საქართველო და მისი ჩაკვლა შეუძლია მხოლოდ მისი შვილების სულმოკლეობას“. — ეს სიტყვები 1924 წელსაა დაწერილი.

ჩვენ ვიცით, როგორ გაქრა, როგორ ჩაინავლა ის იმედი... ისიც ვიცით, როგორ ვერ შეუნარჩუნა თავის ერს დამოუკიდებლობა რუსეთში მყოფ თანამოაზრეთა და ევროპელ ლიბერალთა მხარდაჭერის იმედით ცდუნებულმა, მოყვრებთან მეტისმეტად ჭირვეულმა და მტრებთან მეტისმეტად ლმობიერმა ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ...

დღეს, როდესაც თანდათან ფხიზლდება საქართველო, წელში სწორდება და მომავლისაკენ იმედიანად იყურება, მის შვილებს უფლება აღარა გვაქვს ჩვენი სულმოკლეობის, წინდაუხედაობის, პატივმოყვარეობისა თუ ურთიერთქიშპობის გამო, მომავალ თაობებს თავისუფლების მაგივრად კიდევ ერთი ტრაგიკული და ჭკუისსასწავლებელი მაგალითი დავუტოვოთ. შესაძლოა, მათ ეს მაგალითი აღარაფერში დასჭირდეთ...

ამისკენ მოგვიწოდებს ისტორიულ გზისგასაყარზე მდგომი ჩვენი ერი; აქეთკენ გვიხმობს ის ზარი, ჩვენი რაინდი წინაპრების ხსოვნის სიმბოლოდ რომ მივიჩნიეთ და ამ წმინდა ადგილზე რომ ამოვიტანეთ.

ზაზა აბზიანიძე
9.II.1989 წ.

იუნკრები

ალბათ დახედე -
გადათვალე ყველა უკლებლივ,
ტაბახმელასთან გაუნძრევლად იწვნენ
იუნკრები,
მიძინებული, უწვერული შენი ბიჭები,
სად მიდიოდი,
მათ საფლავებს რომ აბიჯებდი?
ან რა უთხარი მათ ჩურჩულით,
დაბრუნებისას:
„მაპატიეთო“ თუ მხოლოდღა - „ძილი
ნებისა“...
საით წაგიყვანს ახლა მათი შუქი უქრობი,
ვის განარიდებ?
ვის ეძმობი?
ვის ემუქრები?
ვისთან იომებ?
ვის დაუთმობ?
ვის მიენდობი?
აქ შენგან პასუხს ტაბახმელის ელის
ფერდობი,
სადაც ერთ მწკრივად,
როგორც წინათ,
დგანან უკლებლივ,
შენი დამცველნი,
შენი ძენი,
შენი იუნკრები.

ზაზა აბზიანიძე

ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი საპატრიარქოში



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანებით, 2021 წლის 15 თებერვლიდან საქართველოს საპატრიარქოსთან დაარსდა ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, უწმინდესისა და უნეტარესის გადაწყვეტილებით, ცენტრს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) და აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი უხელმძღვანელებენ.

ამას ვერ მოესწრებით, მოღალატენო!

ნაციონალებო, ბოღმით, ლანძღვა-გინებით, ტყუილით, შურით, გაუმაძღრობით, უმადურობით, კანონის უზენაესობის უარყოფით აპირებთ არსებობას?

თქვენმა საქციელმა ჰეგელის სიტყვები გამახსენა: ზოგიერთთათვის ლანძღვა-გინება ნიშნავს ძალაუფლების მოპოვებას!..

ნაციონალებო, თქვენი არასახელმწიფოებრივი მოქმედება პირდაპირ კავშირშია რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასთან, რომელიც, როგორც ნ. ბერდიაევი ბრძანებს, არის ორგანიზებული ბოროტება.

თქვენმა სამშობლოსადმი სიძულვილის თესლმა, შესაძლოა, ნაფლეთებად აქციოს საქართველო!..

ამას ვერ მოესწრებით, ქვეყნის მოღალატენო!

ლონდა მდივანი

დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი გიანჯევი

ისა ჰაბიბეილი,
აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის 5 იანვრის განკარგულებით მთელი 2021 წელი ჩვენს ქვეყანაში „ნიზამ გიანჯევის წლად“ არის გამოცხადებული. ეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიება ემსახურება მსოფლიო საზოგადოებისთვის აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნე ნიზამი გიანჯევის გაცნობის საქმეს, საერთაშორისო მასშტაბით ხელოვნების ამ უდიდესი გენიის ჰუმანიზმის, სამართლიანობის, მშვიდობის, თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა დიადი იდეალების პოპულარიზაციას და, ამავდროულად, ახალ თაობებსაც აცნობს უკვდავ მხატვარს.

ნიზამი გიანჯევს დამსახურებულად უკავია საპატიო ადგილი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ყველაზე გამორჩეულ წარმომადგენლებს შორის. აღმოსავლური პოეზიის სიმბოლოდ ქცეული შეუდარებელი აზერბაიჯანელი პოეტის მძლავრი ლიტერატურული ნიჭი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მისაბაძ ნიმუშად იქცა. ნიზამი გიანჯევი, ისევე როგორც სხვა დიადი პოეტები და მწერლები, ისეთები, როგორიცაა, დანტე, სერვანტესი, შექსპირი, მოჰამედ ფუზული, ბალზაკი, ვიქტორ ჰიუგო, თავისი ერის სიამაყედ იქცნენ, და ამავდროულად, კაცობრიობის მსოფლიო კულტურული ღვაწლის მწვერვალზე ავიდნენ.

ნიზამ გიანჯევი 1141 წელს აზერბაიჯანის ქალაქ გიანჯეში დაიბადა. მთელი ისტორიის განმავლობაში გიანჯეში ძველი ოგრუზების ტომები სახლობდნენ: თანამედროვე აზერბაიჯანელების წინაპრები. ილიას იუსიფ ოღლუმ, შემდგომში ნიზამი გიანჯევის ფსევდონიმით ცნობილმა, ქალაქ გიანჯის მედრესეში მიიღო განათლება და მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება ამ ქალაქში გაატარა. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, ის იშვიათად ტოვებდა ქალაქ გიანჯეს. ერთი იმ ადგილთაგანი, რომელსაც ინახულებდა პოეტი ქალაქის დატოვებისას, იყო სოფელი ხამდინიანი. პოეტის გადმოცემით, პოემა „ხოსრომ და შირინში“, ის გაემგზავრა ამ სოფელში, რომელიც 1187 წელს მმართველ გიზილ არსლანომმა აჩუქა მას და უკმაყოფილო დარჩა საჩუქრით, რამეთუ ამ პატარა სოფლის მწყობრში მოყვანა მოითხოვდა ძალიან დიდ ხარჯს, შეუთავსებელს მის შემოსავალთან.

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ გიზილ არსლანის მიერ პოეტისათვის ამ სოფლის ჩუქება მოხდა გიანჯეს შემოგარენში მათი შეხვედრის დროს. თუმცა არსებობს აზრი, რომ ეს ისტორიული შეხვედრა შედგა არა გიანჯეს შემოგარენთან, არამედ სადღაც გიანჯესა და ტებრიზს შორის. ნიზამთმცოდნეობის ცნობილი პროფესორის რუსტამ ალიევის გადმოცემით, ეს შეხვედრა შედგა ნახჩივანში, იაილაგ ბატაბატთან ახლოს, სოფელ შეკთან, რომელიც ზანგეზურის მახალს ეკუთვნოდა. მკვლევარმა აჟდარ ფარზალიმ განაზოგრა ამ შეხვედრის მარშრუტი: გიანჯა-ისტისუ-ნახჩივანი. ყოველ შემთხვევაში ეს ისტორიული შეხვედრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოხდა.

ნიზამი გიანჯევის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია აზერბაიჯანთან, მის ძველ ქალაქებთან, ისეთებთან, როგორიცაა, გიანჯა, სადაც ის ცხოვრობდა, ბარდა, ნახჩივანი, დერბანტი, სოფლებთან ხამდინიანი და შეკი. მისი ცოლი იყო წარმოშობით დერბენტელი „კიშჩაკის ლამაზმანი ათაგი“ – აზერბაიჯანის ერთ-ერთი რეგიონიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი ოჯახის აზერბაიჯანულ ფესვებს. დიდმა პოეტმა შთაგონებულად აღწერა პოემა „ისკანდერნამეში“ დერბენდული ციხე-სიმაგრე:

აქ დგას სიამგრე, რომელსაც
სამხრეთის ქარიც კი ვერ სწვდება.
და ქვა გამოსცემს მუშკის არომატს, ტკბილსურნელებას,
ვით სამოთხეში აქ დაივანა სილამაზემ, მხიარულებამ.

კიშჩანელი ქალიშვილი ავაგ-ხანიმი ნიზამ გიაჯევისთვის დერბენდის მმართველ მუზაფარ იბნ მოხამედ არსლან იბნ ხალაფონ ას სულთანის მიერ იყო გამოგზავნილი. ამ ქორწინებაში ნიზამს შეეძინა შვილი მოხამედი. თავის პოემებში თავის შვილზე საუბრისას ნიზამი მას „თვალის ჩინს“, „თავის სუნთქვას“, „პირველ ყვავილს, სიცოცხლის სიხარულს“, „თავისი ცხოვრების გემოს“, „თავის სულს“ ეძახდა.

ნიზამის ნაწარმოებებში არსებული შვილის სწავლება დიდაქტიკური პოეზიის ძვირფას ნიმუშს წარმოადგენს აზერბაიჯანულ ლიტერატურაში. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს ღრმად მოაზროვნე ბრძნული სწავლებები უდიდეს როლს თამაშობდნენ ახალი თაობების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ მთელს მსოფლიოში.

მსოფლიო აღიარება ნიზამ გიანჯევმა მიიღო თავისი ხუთი განთქმული წყალობით, რომლებიც გაერთიანებულია „ხამსე“-ში („ხუთეულში“). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი პოემებით ნიზამმა აღმოსავლურ ლიტერატურასა და თურქულ-მუსულმანურ სამყაროში დააფუძნა ტრადიცია „ხამსე“ („ხუთეული“) – სერია, შედგენილი ხუთი პოემიდან. ნიზამის შემდეგ აღმოსავლურ ლიტერატურაში შექმნილი „ხამსე“ მხატვრულ ტრადიციად გადაიქცა, პოეტის მრავალი მიმდევარის შემდეგ შეიქმნა „ხამსეს“ მსგავსი ნაწარმოებები.

„ხამსეში“ შესული პირველი პოემა, „საიდუმლოთა საგანძური“, პოეტის მიერ 1174 წელს შეიქმნა. ახალგაზრდა ასაკისა და პირველი მსხვილი ნაწარმოების მიუხედავად, პოემით „საიდუმლოთა საგანძური“ ავტორმა განაცხადა, რომ ლიტერატურაში მოვიდა არა მარტო ნიჭიერი, არამედ ღრმადმოაზროვნე პოეტი, რომელსაც მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული მიზეზების დანახვის უნარი გააჩნია. ეს ნაწარმოები გახდა არა მხოლოდ სიბრძნის საგანძური, არამედ ლიტერატურული საგანძურიც. 20 პოემაში, რომლებიც შესულია „საიდუმლოთა საგანძურში“, მან თავისი დროის მეტად აქტუალური პრობლემები ასახა და მხატვრული შემოქმედების იდეალები და მიზნები განსაზღვრა.

1180 წელს ნიზამი გიანჯევის მიერ შექმნილი პოემა „ხოსროვი და შირინი“, – არის აღმოსავლურ ლიტერატურაში თანამედროვე რომანის ნიმუში. მიუხედავად იმისა, რომ პოემის სიუჟეტი მოგვითხრობს გამგებელთა ცხოვრებაზე, პოეტმა თავისი წინამორბედებისა და თანამედროვეებისაგან განსხვავებით შექმნა დიადი დასტან-ეპოპეა სიყვარულზე. დასტანი „ხოსროვი და შირინი“, როგორც სიყვარულის დიდებული ძეგლი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აზერბაიჯანულ ლიტერატურაში. ნიზამი გიანჯევმა წარმოგვიდგინა სიყვარული, როგორც დიადი შემოქმედებითი ძალა, როგორც სიცოცხლის აზრი, სიყვარულის უნარი, როგორც ადამიანის პიროვნულობის სიდიადის გამოხატულება.

1188 წელს პოეტის მიერ შექმნილ პოემაში „ლეილი და მეჯნუნი“ ადამიანის მდიდარი შინაგანი სულიერი სამყარო დანახვებულია ნათელი და ეფექტური მხატვრული ფორმებით. ამ პოემაში სიყვარულის ძალა ნაჩვენებია ორი ახალგაზრდა შეყვარებულის შეგრძნებების საშუალებით. ნიზამის მიერ მოთხრობილი ეს სიუჟეტი მთელს აღმოსავლეთში გახდა პოპულარული და იქამდე მივიდა საქმე, რომ მოგვიანებით მის საფუძველზე სხვა ავტორების მიერ ახალი ნაწარმოებები შეიქმნა.

1196 წელს შექმნილ პოემაში „შვიდი ლამაზმანი“ ნიზამმა წარმოაჩინა თავი, როგორც მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებისა და კულტურის კარგად მცოდნე დიდმა მხატვარმა. ბახრამის საუბრები შვიდი სხვადასხვა ქვეყნის პრინცესასთან ასახავს ნიზამის ღრმა ცოდნას ქვეყნებისმცოდნეობის სფეროში და პოეტის მსოფლმხედველობრივ ფართო გახსნილობას. პოემა „შვიდი ლამაზმანი“ – ეს არის სრულყოფილი რომანი იდეალური ადამიანის ცხოვრების წესზე.

ჩვენი შეხედულებით, განთქმული პოემა „ისკანდერნამე“, შექმნილი 1197-1200 წლებში, წარმოადგენს განმაზოგადებელ ნაწარმოებს ნიზამი გიანჯევის შემოქმედებაში. „ისკანდერნამე“ – ეს არის ნიზამი გიანჯევის შემოქმედების მწვერვალი. ამ პოემაში, ააღორძინა რა ანტიკური ძველბერძნული სამეცნიერო და კულტურული ტრადიციები, პოეტმა შეაერთა ისინი თავისი თანამედროვე აზერბაიჯანის რეალობასთან და წარმოადგინა მხატვრულ ჭრილში. როგორც სამართლიანად იქნა აღნიშნული, „ნიზამი გიანჯევი („ისკანდერნამე“ – ი. გ.) გამოდის აქ როგორც მეცნიერი და მოაზროვნე. ამ ნაწარმოებში მან ყურადღება გაამახვილა პრობლემებზე, რომლებიც აღელვებდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. ამიტომ ეს პოემა იძლევა დიდძალ მასალას ნიზამის შეხედულებებისა და ცოდნის არაჩვეულებრივად დიდი დიაპაზონის, მისი დიდსულოვნების და ადამიანებისადმი მგზნებარე სიყვარულის შესასწავლად.

განსაკუთრებული ადგილი ნიზამი გიანჯევის შემოქმედებაში ეკავა ლირიკას. პოეტის ლირიკულ ლექსებში მიმზიდველია მათში არსებული ეპიკური შტრიხები. სათავგადასავლო სიუჟეტის ფონზე პოეტი ქმნის ყველაზე ნატიფ და სიღრმისეულ სტროფებს. ნიზამი გიანჯევის ლირიკა მხატვრულად გამოხატული ადამიანური აზრის სიღრმისეულობისა და კეთილშობილების დაუვიწყარი და შთამბეჭდავი მაგალითებია. ღრმა ლირიზმი, პოეტური განმასახიერებელი ხედვა ადამიანზე, ცხოვრებაზე წარმოადგენს მისი პოეზიის განმასხვავებელ თვისებას. ცნობილ გაზელში „უშენოდ“ პოეტი, რომელმაც დაკარგა თავისი საყვარელი ადამიანი და მარტო დარჩა, თავისი განცდების გულწრფელად გამოხატვით ცდილობს გაიცნობიეროს მომხდარი. ხოლო გაზელი, რომელიც იწყება სიტყვებით „წუხელის, მალულად საყვარელი მეწვია“, – ეს არის პატარა ნოველა ლექსად:

გზიდან გადგა შავი მუშკი, გუშინ ის მომევლინა.
სწორედ ამან დაალაგა გზები ქმნილნი დევნილად.
მთვარისსახა იჩქაროდა, ჯაშუშთაგან დამფრთხალი,
მთვარის ხედი ჩამოგლიჯა, დაწვა ვარდი საწყალი.

ნიზამი გიანჯევი 1209 წელს გარდაიცვალა გიანჯეში და დაიკრძალა მშობლიურ ქალაქში. ამჟამად დიდი პოეტისა და მოაზროვნის საფლავზე აღმართულია მონუმენტური მავზოლეუმი.

არავითარი ეჭვი არ არსებობს იმაში, რომ ნიზამი მთელი მსოფლიოს კულტურისა და მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. ამ შეხედულებას აღიარებს როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი და გვიყვება პოეტზე, როგორც უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო იდეალების გამხმოვანებელი ნაწარმოებების შემქმნელ გენიალურ შემოქმედზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი დღემდე აღიქვამს მას როგორც სპარსულტაჯიკურს, სპარსულს ან საერთო ჯამში მუსულმანური სამყაროს წარმომადგენელ პოეტს. და ასეთი განცხადებების მთავარ ფაქტორად წარმოდგენილია ენობრივი ფაქტორი. თუმცა, სპარსული პოეტური ენით გადმოცემის კულტურა ნიზამი გიანჯევის ცხოვრებისა და შემოქმედების პერიოდში, XII-XIII საუკუნეებში, გავრცელებული იყო არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ ანატოლიაში, კავკასიაში, შუა აზიაში, ინდოეთში. ეს იყო ზოგადად მიღებული ლიტერატურული ენა. საუკუნეების განმავლობაში, მათ შორის ნიზამის ცხოვრების პერიოდში, არსებობდა ენობრივი დაყოფა: „სპარსული ენა – სალიტერატურო ენა, არაბული – მეცნიერების ენა, თურქული – სამხედრო ენა“. ათობით პოეტი და მეცნიერი, რომლებიც აღმოსავლეთის უდიდესი მოაზროვნეები გახდნენ და რომლებსაც ისინი ეკუთვნოდნენ, წერდნენ და ქმნიდნენ თავის ნაწარმოებებსა და სამეცნიერო შრომებს. უფრო მეტიც, იმ დროს ეს გარკვეულ უპირატესობას იძლეოდა. პირველ რიგში, არაბული და სპარსული ენები მეცნიერთათვის საშუალებას იძლეოდა წაეკითხათ და გაეგოთ სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი სამეცნიერო და ლიტერატურული ნაწარმოებები. მეორე რიგში, იმ ხალხთა შორის კავშირის წყალობით, რომლებიც ამ ენებზე მეტყველებდნენ, დაგროვილი ცოდნისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ევროპაში, და მთლიანად დასავლეთში, გავრცელების საშუალებას იძლეოდა. მესამე რიგში, არაბული და სპარსული ენების ბრწყინვალედ მცოდნე ნიზამი გიანჯევმა საშუალება მიიღო შეესწავლა ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და კულტურა, ზიარებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ისტორიული თემების, თავისი ნაწარმოებების სიუჟეტებისა და გმირების მომცველ წყაროებს. ამგვარად, პოეტური სპარსული ენის წყალობით, აზერბაიჯანულმა ლიტერატურამ ბუნებრივი გზით გააფართოვა თავისი გეოგრაფიული საზღვრები. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, ნიზამი გიანჯევი არის აღმოსავლეთისა და მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი მხატვარი. ჩვენ მხედველობაში ვღებულობთ: ნიზამი გიანჯევი ისლამურ-მუსულმანური სამყაროს უდიდესი პო-

ეტია; პირველად სწორედ აღმოსავლეთში მიიღო აღიარება და დიდება; მის ნაწარმოებებში ფართოდ არის გაშუქებული აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრება; ნიზამი გიანჯევი თავის ნაწარმოებებს ქმნიდა აღმოსავლეთში საზოგადოდ მიღებულ ლიტერატურულ ენაზე; პოეტის ნაწარმოებები მეტწილად იკითხება აღმოსავლეთში... ყოველი თურქი ნიზამი გიანჯევი მსოფლიო ლიტერატურის დიდი პოეტი-ჰუმანისტია. თითოეული ერი ხედავს ნიზამის ნაწარმოებებში საკუთარი გედის ასახვას და მომავალს.

ამის კვალდაკვალ, ნიზამი გიაჯევი უპირობოდ აზერბაიჯანელი პოეტია. ის უძველესი ისტორიის მქონე აზერბაიჯანელი ხალხის ღირსეული შვილია. გენიალურმა პოეტმა და მოაზროვნემ, აღმოსავლეთის გამორჩეულმა მხატვარმა, საკუთარი სახელი მსოფლიო ლიტერატურაში ჩაწერა.

მკვლევრები ასევე აღნიშნავენ, ნიზამი გიანჯევი სპარსულ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებში ამბობდა, რომ მისი დედა და მამა თურქები იყვნენ. პოეტის მამა – იუსუფ ზაქი და დედა – რაისა განეკუთვნებოდნენ ამაყ თურქულ ნაციონალურ წარმომავლობას. პოეტის მამა იუსუფ ზაქი იყო ოსტატი ქალაქ გიანჯეში. სრულიად შესაძლებელია, რომ ქვისმთლელის პროტოტიპი, მის მიერ ასეთი დიდი სიყვარულით გამოძერწილი „დასტანი აგურის ოსტატში“, თავისი მამა იყო.

თანამედროვეებთან ურთიერთობა ასევე წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ ნიზამი აზერბაიჯანში ცხოვრობდა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიზამი გიანჯევისა და ხაგანი შირვანის ურთიერთობას. მკვლევრები ამბობენ, რომ ნიზამი გიანჯევი მაღალ შეფასებას აძლევდა თავის დიდ თანამედროვე ხაგანი შირვანის (1120-1199)



შემოქმედებას და მასში თავისი შემოქმედების თანამოაზრეს ხედავდა.

დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში მცხოვრები დოვლეშაჰ სამარყანდი, ცნობილი ოსტატი თესკირე (ოსტატები, რომლებიც წერდნენ პოეტების შემოქმედებისა და ბიოგრაფიების შესახებ), ახსენებს აზერბაიჯანულად დაწერილ ნიზამის „დივანს“. სამწუხაროდ, ამ „დივანმა“ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ყველაზე მთავარ მტკიცებულებას იმისა, რომ ნიზამი თურქ-აზერბაიჯანელი იყო, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აზერბაიჯანში, წარმოადგენს პოეტის საფლავი გიანჯეში, რომელზეც აღმართულია მონუმენტური მავზოლეუმი.

დიდი პოეტის მდიდარი და შინაარსიანი შემოქმედება აღმოსავლეთის აღორძინების ეპოქის უდიდესი კულტურული მოვლენაა. ნიზამის გიაჯევის ნაწარმოებები – მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის ნაწილია, ის უდიდესი პოეტი და მოაზროვნეა, მსოფლიოს კულტურისათვის აზერბაიჯანელი ხალხის მიერ მოძღებული საჩუქარია.

ნიზამი გიანჯევი დიდი აზერბაიჯანელი პოეტი-ელჩია მსოფლიო ლიტერატურაში.

აზერბაიჯანელი ხალხი დამსახურებულად ამაყობს თავისი უკვდავი მხატვრით ნიზამი გიანჯევით.

თავის ნაწარმოებებში პოეტი თავისი ნიჭის მძლავრი გამოვლინებით უწევდა პროპაგანდას შრომისმოყვარეობას, მეცნიერებას, სულიერ სრულყოფილებას, ჰუმანიზმს. ნიზამი გიანჯევი წერდა: კაცობრიობა ყოველთვის საჭიროებს ნიზამი გიანჯიევის დიად იდეებს.

განთქმულმა აზერბაიჯანელმა პოეტმა ნიზამი გიანჯევმა სამუდამოდ დაიმკვიდრა მარადიული დიდება ყველა დროის ძლევამოსილი პოეტისა და დიდი მოაზროვნისა.

ქ. ბაქო

ბორჩალოს აზერბაიჯანელების და ქართველების 100-წლიანი საბრძოლო მეგობრობა

2021 წლის 18-19 თებერვალს ზუსტად 100 წელი გავიდა მოვლენებიდან, როდესაც თბილისის დასაცავად მრავალრიცხოვანი წითელი არმიის წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ბორჩალოელი აზერბაიჯანელი მუსლიმების რაზმი ჩაერთო. რაზმის მეთაურმა ედიგაროვმა მუსლიმი აზერბაიჯანელების საქართველოს დაცვისადმი უპირობო ერთგულების შესახებ განაცხადა. ამის შესახებ მოწმობს იმდროინდელ ქართულ გაზეთ „რესპუბლიკაში“ განთავსებული ინფორმაცია. 1921 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანს ძლიერი მტერი – საბჭოთა რუსეთი დაუპირისპირდა.

1918-1919 წლებში ბოლშევიკების შეტევის დროს აზერბაიჯანელების დახმარებას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულმა არმიამ უკუაგდო მტრის შეტევა, კონტრშეტევაზე გადავიდა და ერთი კვირით გაახანგრძლივა თბილისის დაცემა.

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 18 თებერვლის საღამოს წითელი არმიის ნაწილები სოღანლუღს მიადგნენ. ქართული ჯარები, ბორჩალოელ და თბილისელ აზერბაიჯანელებთან ერთად, მთელი ღამე იგერიებდნენ ბოლშევიკური ჯარების შეტევებს, გამთენიისას კი სამხედრო ტექნიკის დახმარებით, კონტრშეტევაზე გადავიდნენ და სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. 1600 ადამიანი ტყვედ აიყვანეს. მე -11 წითელი არმიის უკან დახეულ ნაწილებს ფრონტის არტილერიით დაარტყეს. ეს ქართული არმიის პირველი გამარჯვება იყო რიცხოვნობით გაცილებით დიდი წითელი არმიის ნაწილებზე. ამ ყველაფერმა საქართველოს არმიას დედაქალაქის 1921 წელი 24 თებერვლამდე წარმატებით დაცვის საშუალება მისცა. თუმცა, ძალები არათანაბარი იყო. 24 თებერვალს წითელმა არმიამ მასშტაბური საარტილერიო შეტევა განახორციელა ფრონტის ყველა ხაზზე. ამ დღესვე საქართველოს მთავრობის ქუთაისში ევაკუაცია დაიწყო.

25 თებერვალს თბილისში ვითარება კრიტიკულად შეიცვალა. რუსული წითელი არმია რამდენჯერმე აღემატებოდა ქართულ არმიას. ქართულმა სარდლობამ, არმიის შენარჩუნებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ასე დასრულდა 1921 წლის თებერვალში თბილისის გმირულად დაცვის ერთი კვირა, რომლის დროსაც ქართველი მხედრების გვერდით, მხარდამხარ, აზერბაიჯანელი მხედრებიც იბრძოდნენ.

თბილისის დაცემის შემდეგ წითელმა არმიამ 4 მარტს დაიკავა სოხუმის ნაწილი, 9 მარტს აიღო ზუგდიდი. მამისონის უღელტეხილიდან გადმოსულმა წითელი არმიის ნაწილებმა 10 მარტს ქუთაისი აიღო. 14 მარტს დაეცა ფოთი. განვითარებული მოვლენების ფონზე 17 მარტს საზავო ხელშეკრულება დაიდო. 19 მარტს კაპიტულაცია გამოცხადდა, 19 მარტს კი წითელ არმიას ბათუმი ჩაბარდა. საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვისთვის ქართული არმიის ერთთვიანი გმირული ბრძოლა მარცხით დასრულდა. საქართველო, ისევე როგორც მანამდე აზერბაიჯანი, საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა.

მიუხედავად მძლავრი საბჭოთა პროპაგანდისა, ბორჩალოელი აზერბაიჯანელები ბოლომდე საქართველოს ერთგულები იყვნენ.

HTTPS://REPORT.GE

ქართული მულტფილმი „მიტოვებული სოფელი“ - კინოფესტივალის რჩეული

ქართველი **რეჟისორის მარიამ კაპანაძის მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ პარიზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის კონკურსში „Paris International Animation Film Festival“ მოხვდა.**

მოკლემეტრაჟიანი მულტფილმების საერთაშორისო ეხმარება ახალბედა არტისტებს, აერთიანებს ენთუზიასტებს, ხელს უწყობს სოციალურ და კულტურულ „აღრევას“, თანამშრომლობისა და მხატვრული პოპულარიზაციის ქსელის შექმნას.

„მიტოვებული სოფელი“ პირველად იაპონიაში 23 ნოემბერს ჰოკაიდოს ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე აჩვენეს. ფილმმა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯილდო მიიღო.

ანიმაციური ფილმის მთავარი გმირი მიტოვებული სოფელია, ადამიანის ერთგვარი მეტაფორა და განსახიერება. მულტფილმში ნაჩვენებია „ადამიანი“, რომელსაც აღარ ახსოვს სამყაროს შექმნის არსი – სიყვარული.

„მიტოვებული სოფელი“ 2018 წელს ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტია, საპროდიუსერო კომპანიაა – საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოძრაობა „კვალი XXI“. მარიამ კაპანაძე ფილმის სცენარის ავტორიცაა.

რა საიდუმლო დოკუმენტი გამოუგზავნა მოსკოვმა სოხუმს

რუსეთის **საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთს მიაწოდა დოკუმენტი, რომელშიც აფხაზურ მხარეს რკინიგზის გახსნის საკითხის ინიცირებას ავალებს.**

როგორც **„აქცენტს“** აფხაზური საკანონმდებლო ორგანოდან საკითხში ჩახედულმა წყარომ აცნობა, მისი ინიცირება „პარლამენტს“ **„აფხაზეთისთვის უდიდესი ეკონომიკური სარგებლისა“ და „გასაჭირში მყოფ სომეხ ხალხზე ზრუნვის“** სარჩულით დაევალა.

როგორც სოხუმს მოსკოვი არწმუნებს, რუსეთს, სომხეთსა და საქართველოს შორის გასაფორმებლად მომზადებულია ახალი სამმხრივი დოკუმენტი, რომლის ხელმოწერაზეც „საქართველოს პრეზიდენტისგან უკვე მიღებულია პრინციპული თანხმობა“, აფხაზური მხარისგან კი მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო — საჯარო თანხმობა.

თუმცა მოსკოვიდან გამოგზავნილი დოკუმენტი სოხუმისთვის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ასპექტებს შეიცავს და არ შეესაბამება საქართველოსა და რუსეთს შორის 2011 წელს გაფორმებულ შეთანხმებასაც კი, რომელსაც აფხაზური მხარე თავის დროზე კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. კერძოდ, სოხუმისთვის საკვანძო განსხვავებას ქმნის ის, რომ „სამმხრივ შეთანხმებაში“ რკინიგზის აფხაზური მონაკვეთი აღნიშნულია არა მარტო გეოგრაფიული კოორდინატებით (როგორც 2011 წლის ორმხრივ შეთანხმებაში იყო), არამედ დაკონკრეტებით „სოხუმი“ — ანუ აფხაზეთის დედაქალაქის ქართული ტრანსკრიფციით.

ამასთან, ახალი დოკუმენტის თანახმად, ტვირთების გადაზიდვაზე კონტროლს ნეიტრალური უცხოური კომპანიის ნაცვლად (2011 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ეს შვეიცარიული SGS უნდა ყოფილიყო), რუსული და ქართული საბაჟო სამსახურები განახორციელებენ, რომელთა თანამშრომლები ფსოუზე და ენგურზე განთავსდებიან. ანუ, აფხაზეთი მოიაზრება ერთგვარ ნეიტრალურ ტერიტორიად და როგორც მხარე, დოკუმენტში არსად იქნება ნახსენები. საინტერესო დეტალი: თავად ეს დოკუმენტი, რომელიც მოსკოვიდან გამოაგზავნეს, აფხაზ „დეპუტატებს“ არ უჩვენეს. „პარლამენტს“ იგი ოფიციალურად არ მიუღია და არსებული ინფორმაციით, ის ჯერ-ჯერობით არც აფხაზურ საგარეო პოლიტიკურ უწყებაში გააჩნიათ. მისი ინიცირების წინადადებით „დეპუტატებს“ „პრეზიდენტის“ ადმინისტრაციის თანამშრომელმა მიმართა, რომელიც „პარლამენტში პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენლის თანაშემწის“ თანამდებობას იკავებს.

მასთან დახურულ შეხვედრაზე დამსწრე აფხაზი „დეპუტატების“ ნაწილმა საკითხის განხილვაზე კატეგორული უარი განაცხადა. თუმცა როგორც „პარლამენტში პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენლის თანაშემწემ განმარტა, **„აფხაზეთს რუსეთის ამ დავალების შესრულება ყველა შემთხვევაში მოუწევს, თანაც განსაზღვრულ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვი სოხუმს სრულ ბლოკადას მოუწყობს“.**

რაჭომ არ დაუფასეს ნიკა გვარამიას რუსეთის ლანძღვა-გინება?!

კიდევ ერთი დეჟა ვუ

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი, ბატონი ნიკა გვარამია აღშფოთებული და შეურაცხყოფილია ამერიკის საელჩოს დამოკიდებულებით მის მიმართ და მისი ტელეარხისადმი: ასეთი გულმოდგინებით და თავგამოდებით ვაკრიტიკებთ პრორუსულ „ქართული ოცნების“ მთავრობას, დაუღალავად ვიბრძვით პროდასავლურობისა და დემოკრატიისათვის, რაც შეგვიძლია ვაგინებთ პუტინს და რუსეთის ავტორიტარულ რეჟიმს, ამერიკის ელჩმა კი ყველაფერი ეს წყალში ჩამიყარა და ერთხელაც არ მიმიწვია საელჩოში, რომ ჩემი, როგორც ოპოზიციური მასმედიის ერთერთი ხელმძღვანელის აზრი მოესმინაო. ეგ კიდევ არაფერი, მე თუ მარტო დედა ვაგინე რუსეთს ღია ეთერში, ჩემი „წამყვანი“ თანამშრომელი კიდევ უფრო შორს წავიდა და ტელეეკრანიდან რუსეთის პრეზიდენტს დედაც აგინა და დედ-მამის საფლავიც ამოუტრიალა, მაგრამ არც მისთვის დაუფასებიათ ამაგი, ის კი არა, ქალბატონმა დეგნანმა ამერიკაში შესასვლელი ვიზის გაცემაზეც უარი სტკიცა, თუმცა ჟურნალისტმა პირობა დადო, როგორც კი პუტინი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს, მაშინვე ბოდიშს მოვუხდიო. საკუთარ მოქალაქეებთან ბოდიშის მოხდა, რომლებიც მისმა უხამსობამ ორ ყვეყანას შორის საავიაციო მიმოსვლის შეწყვეტის შედეგად მრავალი მილიონი დოლარით აზარალა, ჟურნალისტს თავში არ მოსვლია.

ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის საელჩოს ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი „მთავარი არხისადმი“ სწორედ ისაა, რითაც ნიკა გვარამია და მისი თანამშრომლები თავს იწონებენ. ამერიკელები აშკარად არც იმას უწონებენ „მთავარი არხის“ ჟურნალისტებს და მის დირექტორს, რომ ისინი სასტიკი წინააღმდეგი არიან ოპოზიციონერი დეპუტატების პარლამენტში შესვლისა და ყოველნაირად აქეზებენ მათ, „სიტყვა არ გატეხონ“ და ერთპარტიულ პარლამენტში არ შევიდნენ, იმის მიუხედავად, რომ პარლამენტი უკვე სამპარტიულია. ისიც უნდა ითქვას, რომ „სიტყვის არგატეხა“ და პირის შეკვრა ვინმეს ჩამოსაგდებად, როგორც ეს ბატონ ნიკას და ოპოზიციონერებს ესმით, სულაც არ მიაჩნიათ ცივილიზებულობის ნიშნად, რომ ეს უფრო მეტად მაფიოზურ კლანებს და კრიმინალურ დაჯგუფებებს ახასიათებთ, დემოკრატია კი სწორედ იმით გამოირჩევა, რომ აქ ყველა პიროვნულად, საკუთარი განსჯის მიხედვით და საკუთარი სინდისის კარნახით იღებს გადაწყვეტილებას. ამიტომაც ურჩევენ დასავლელი პარტნიორები ოპოზიციონერებს ბოიკოტზე უარის თქმას და პარლამენტში შესვლას.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც რუსეთის ლანძღვა-გინებას და ყველა ჩვენი უბედურების მისთვის დაბრალებას გვიწონებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, რადგან გაცნობილი არიან ჩვენი ქვეყნის ისტორიას და იციან, რომ არასწორია ყველაფრის შავ ფერებში დახატვა და იმ დადებითის არდანახვა, რაც ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთთან ერთად ყოფნამ ქვეყანას მოუტანა, იციან, რომ სწორედ ამის შემდეგ დაუახლოვდა საქართველო ევროპას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან 50 წლის შემდეგ თბილისში და ევროპის დედაქალაქებში ახალი ოპერები თითქმის ერთდროულად იდგმებოდა, რომ რუსულ ადმინისტრაციას შეერთების შემდეგ კიდევ 50 წელი დასჭირდა, რომ ქვეყანაში ისეთი მავნე ჩვევა ამოეძირკვა, როგორც ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა იყო, რომ როცა 1872 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზა გაიხსნა, იაპონიაში რკინიგზის სიგრძე მხოლოდ 29 კილომეტრს შეადგენდა, რომ აჭარა, აფხაზეთი, ახალციხე და ახალქალაქი სწორედ რუსული იარაღის წყალობით დაბრუნდნენ საქართველოს შემადგენლობაში და ა. შ. და ა. შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაფერ ამის გამოა, რომ ამერიკელებმა ბატონ ნიკას და მის თანამშრომელს რუსეთის და პუტინის კრიტიკა არ დაუფასეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დეჟა ვუ რაღა შუაშიაო, იკითხავთ.

საქმე ისაა, რომ ასეთი უარყოფითი რეაქცია ჩვენს მასმედიაში რუსეთის გინებაზე ამერიკის საელჩოს მხრიდან პირველი არ არის. ჯერ კიდევ დაახლოებით 25 წლის წინათ, როცა რუსეთის ლანძღვამ ქართულ პრესასა და ტელევიზიაში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ამერიკის საელჩო იძულებული გახდა, ჩარეულიყო საქმეში. მისი რეაქცია მაშინდელმა პარლამენტის დეპუტატმა მიხეილ ნანეიშვილმა ასე შეაფასა: „აბა, ახლა კი ცოტა ენას კბილი დააჭირეთო!“

იმედია, ახალი მოწვევის პარლამენტში იმსჯელებენ ამ საკითხზე და შესწორებას შეიტანენ სსს კოდექსში სათანადო სასჯელის გათვალისწინებით საჯარო სივრცეში უცხოელი თუ შინაური სახელმწიფო პირების მიმათ უხამსობისა და ბილწსიტყვაობისთვის.

მიხეილ გამყრელიძე,
ნიუ-იორკი

ჩვენ გავიმარჯვებთ!

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გააკრიტიკა, რომელმაც ყოფილი პრეზიდენტის შუამდგომლობა უარყო და ნიუ-იორკის პროკურატურისთვის დონალდ ტრამპის საგადასახადო დეკლარაციების გადაცემა დაუშვა.

„უზენაეს სასამართლოს არასდროს უნდა დაეშვა ეს. არც ერთ პრეზიდენტს არ გადაუტანია მსგავსი რამე. ეს ყველაფერი „დემოკრატებისგან“ ინსპირირებულია“, — აღნიშნა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა. მისივე თქმით, მანჰეტენის პროკურატურის გამოძიება მისი ფინანსური გარიგებების შესახებ „კუდიანებზე პოლიტიკური ნადირობის გაგრძელებაა“.

„მე ვიბრძოლებ, როგორც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვიბრძოდი, მიუხედავად ყველა იმ საარჩევნო დანაშაულისა, რომელიც ჩემ წინააღმდეგ ჩაიდინეს. ჩვენ გავიმარჯვებთ!“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ლუკაშენკომ პუტინს მადლობა გადაუხადა

ალექსანდრ ლუკაშენკომ ვლადიმერ პუტინს ბელარუსში მასობრივი საპროტესტო აქციების დროს გაწეული ეკონომიკური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. ბელარუსის და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა სოჭში გაიმართა. ლუკაშენკომ პუტინს უთხრა, რომ ფული არ გაფლანგულა და საჭიროების მიხედვით დაიხარჯა.

გასული წლის სექტემბერში რუსეთმა ბელარუსს სესხის სახით 1.5 მილიარდი დოლარი მისცა. ლიდერების შეხვედრამდე რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლუკაშენკო პუტინს კიდევ სამ მილიარდ დოლარს სთხოვდა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ბელარუსში უარყვეს.

...სანქციების დაწესებაზე შეთანხმდნენ

ევროკავშირის **საგარეო საქმეთა მინისტრები რუს ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის დაკავების გამო სანქციების დაწესებაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ განცხადება საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჟოზეფ ბორელმა მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

მისი თქმით, ევროკავშირი პირველად აამოქმედებს ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის გლობალურ მექანიზმის, რომლის ფარგლებშიც სანქციები კონკრეტული პირების მიმართ დაწესდება.ბორელის განცხადებით, ამ პირთა ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, ხოლო ახალი სანქციები რუსეთის მიმართ სავარაუდოდ ერთ კვირაში იქნება დამტკიცებული. მედიის მიერ გავრცელებული ცნობით, სანქციების სამიზნე შესაძლოა გახდეს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი, რუსეთის ეროვნული გვარდიის მეთაური და გენერალური პროკურორი

ირანი არასოდეს დაემორჩილება ამერიკას

ირანის **სულიერი ლიდერი საჭიროების შემთხვევაში ურანის 60 პროცენტით გამდიდრებას არ გამორიცხავს.** აითოლა ალი ხამენეის განცხადებით, ირანი არასდროს დაემორჩილება აშშ-ის ზეწოლას მის ბირთვულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

„ბირთვული გამდიდრება არც 20 პროცენტით შემოიფარგლება. ის გაამდიდრებს ურანს ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერი ზომით, რაც საჭიროა ქვეყნისთვის. ირანში ურანის გამდიდრების დონემ შეიძლება 60 პროცენტს მიაღწიოს ქვეყნის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“, — განაცხადა ირანის სულიერმა ლიდერმა.

აიათოლა ალი ხამენეიმ ასევე აღნიშნა, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნა არ სურს, რაც ისლამურ საფუძვლებს ემყარება, თუმცა განზრახვის შემთხვევაში ვერცერთი ქვეყანა მას ხელს ვერ შეუშლის.

ᲜᲐᲛᲐᲮᲕᲐᲜᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲥᲛᲜᲘᲡ ᲢᲕᲘᲨᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲡ...

ᲠᲐᲓᲘᲝ „კომერსანტის“ გადაცემა „პროფესიონალებში“ ნამახვანჰესის მშენებელი კომპანიის „ენკა რინიუებლზის“ წარმომადგენელი ელენე ღუბიანური „ენკასთვის“ მიწების სიმბოლურ ფასად გადაცემის შესახებ ინფორმაციას გამოეხმაურა და განმარტა, რომ საპროექტო არეალი საკმაოდ დიდი მოცულობის მიწის ფართობს მოიცავდა, რომლის ნაწილი სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო ნაწილი კერძოს წარმოადგენდა.

ღუბიანურმა განმარტა, რომ ქვემო ნამახვანის არეალში იდენტიფიცირებულია 278 ოჯახი, რომელიც გასახლებას არ ექვემდებარება. მისივე თქმით, გასასახლებელ ოჯახებს კომპენსაცია უკვე გადაეცათ, რომელიც ჯამში 32 მილიონ ლარს შეადგენს. „ენკა რინიუებლზის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ დაახლოებით 20 ოჯახია დარჩენილი, რომლებთანაც ფორმალური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იგი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი ოჯახია დარჩენილი, რომელიც კომპენსაციას არ თანხმდება, თუმცა კომპანია იმედს იტოვებს, რომ მოლაპარაკებები ამ ოჯახთანაც წარმატებით დასრულდება.

„სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწები, ის ადგილებია, სადაც ჰესის ინფრასტრუქტურა უნდა განთავსებულიყო. აღნიშნული მიწების ნაწილი სახელმწიფო კანონმდებლობის ფარგლებში კომპანია „ენკას“ პრივატიზების გზით, ხოლო ნაწილი აღნაგობის უფლებით გადაეცა. რაც შეეხება კერძო მიწებს, მათთან მოლაპარაკების პროცესი თითქმის დასრულებულია, ანაზღაურებული კომპენსაცია 32 მილიონ ლარს შეადგენს. 20-მდე ოჯახია დარჩენილი, რომელთანაც ახლა ფორმალური მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

რაც შეეხება აჟიოტაჟს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სახელმწიფომ რიონის ხეობა „ენკას“ აჩუქა ვიტყვი, რომ როგორც მთავრობის განკარგულებაში, ასევე შემდეგ გაფორმებულ ხელშეკრულებაში „ენკაზე“ გადაცემული მიწის მიზნობრიობა დადგენილია. დოკუმენტში წერია, რომ მიწების გამოყენების მიზანი, არის მხოლოდ ნამახვანჰესის პროექტის იმ ვალდებულებებით და სტანდარტებით განხორციელება, რომელიც მთავრობამ ენკას დაუკისრა“, - თქვა ელენე ღუბიანურმა.

მან ასევე განმარტა, რომ „ენკას“ მიწების გასხვისება არ შეუძლია და სიმართლეს არ შეესაბამება ის ინფორმაცია, რომ თითქოს ამ ტერიტორიაზე 3 000 თურქი ოჯახი უნდა დასახლდეს.

„აქ ჩამოსახლებას არავინ არ აპირებს, მეტსაც გეტყვით, 2000 დასაქმებულიდან მშენებლობის ბაზაზე 1400-მდე სამუშაო ადგილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის გათვალისწინებული. ამავდროულად აუცილებლად მინდა გითხრათ, რომ კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ 200 მილიონი ლარის ღირებულიების 20-კილომეტრიანი უმაღლესი სტანდარტის გზა ააშენოს და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს“, – აღნიშნა ელენე ღუბიანურმა.

„ენკა რინიუებლზის“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ გარემოზე ზეგავლენის შეფასების პერიოდშიც და შემდეგაც ჩატარდა კვლევები, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტში მდებარე ჰესის მიდამოები დატბორვას არ ექვემდებარება. შესაბამისად ჰესი საფრთხეს არ უქმნის იმ ვენახებს, სადაც ადგილობრივებს უნიკალური ჯიშის ყურძენი – ტვიში მოჰყავთ.

„ადგილობრივების წუხილი ამ საკითხთან დაკავშირებით საერთოდ არ არის გასაკვირი, ისინი ამ უნიკალური ჯიშის ყურძნისგან აწარმოებენ ღვინოს, რაც მათი ერთადერთი შემოსავლის წყაროა, თუმცა ჩვენ ზემო ნამახვანის პროექტის არეალში დამატებით გათვალისწინებული გვაქვს მონიტორინგის სისტემების ინსტალაცია, რაც როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების დროს კლიმატის ცვლილებებზე ძალიან დეტალური დაკვირვებას გულისხმობს და თუკი მოხდა ისე, რომ ყურძენზე ან ღვინოზე ჰესს თუნდაც მინიმალური გავლენა ექნება, ამაზე პასუხისმგებლობას კომპანია აიღებს. თუმცა ჩვენი სპეციალისტების დაკვირვებით ტვიშს გადაშენება არანაირად არ ემუქრება, გარდა ამისა, სოციალურ პასუხისმგებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივი მეღვინეობის ხელშეწყობა და მცირე საწარმოს დაფუძნება“.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა მიწისძვრის ან მეწყერის გამო ჩამონგრეულმა ჰესმა კოლხეთის დაბლობი ან ქუთაისი დატბოროს, ღუბიანური პასუხობს:

„ჩვენი კაშხალი უმაღლესი სტანდარტის და გრავიტაციული ტიპისაა. საბედნიეროდ, ტექნოლოგია და ცივილიზაცია საკმაოდ წინ არის წასული, დაიხვეწა ის ტექნოლოგებიც და კონსტრუქციული სქემებიც, რის მიხედვითაც მსგავსი პროექტები კეთდება. ამ კუთხით რომ წავიდეთ, მაშინ იაპონიაში არაფერი არ უნდა შენდებოდეს, საქართველოზე ბევრად უფრო სეისმური ადგილებიც არსებობს, აქედან გამომდინარე გათვალისწინებულია უსაფრთხოება, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ თუ მასშტაბური 20-ბალიანი მიწისძვრა მოხდა და მეტეორი დაგვეცა, რა თქმა უნდა, არავინ იქნება დაცული“ ...

ᲗᲐᲙᲝ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲗᲘᲠᲐᲫᲔ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲨᲘ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ 53 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ

2021 ᲬᲔᲚᲡ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ 53 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება, – ამის შესახებ ინფორმაციას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პრიორიტეტად წელსაც შიდა საუბნო გზების გაკეთება დაასახელეს.

„გზების გარდა მოეწყობა სკვერები, დამონტაჟდება გარეგანათება, წყალმომარაგების კუთხით განხორციელდება სამუშაოები, ჩატარდება შენობების რეაბილიტაცია. ასევე, იგეგმება ყველა იმ მიმართულებით ღონისძიებების გატარება, რომელიც მოსახლეობამ პრიორიტეტად აირჩია.

შიდა საუბნო გზები ბეტონის საფარით მოეწყობა შემდეგ სოფლებში: პირველი წყალტუბო, თერნალი, გუმბრა, ბანოჯა, ხომული დღნორისა, ლეხინდრისთავი, საჩხეური, ჭაშლეთი, მაღლაკი, მექვენა, დერჩი, ვანისჭალა, ქვედა ონჭეიში, მუხიანი, უკანეთი ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო, ტყაჩირი, რიონი, ზარათი, მეჩხერი, ნოღა, სორმონი, ჭოლევი, ცხუნკური, ყუმისთავი, ზედა ჩუნეში, სოფელი წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში, გეგუთი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სანიაღვრე არხი კეთება სოფელ გვიშტიბში, სკვერი მოეწყობა ქვედა მესხეთში, გარეგანათების ქსელი დამონტაჟდება ოფშკვითსა და საყულიაში, წყალმომარაგების ქსელის მოწესრიგება დაგეგმილია ქვედა და ზედა ონჭეიში, ბეთქოულასა და დღნორისაში. მოსახლეობის მიერ შერჩეული ტერიტორია შემოიღობება“, – ნათქვამია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ ოღიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ ოღიაშვილი (პ/ნ 40001029389), თბილისი, წმინდა ნინოს ქ. №17

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, წმინდა ნინოს ქ. №17, სართული 1, ბინა №10 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.003.016.01.03.010).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 69312.92 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 23 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 10 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69472621; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 694726

6. **მოვალე:** გიორგი გურაშვილი (პ/ნ 40001032413), სიღნაღი, ქ. წნორი, უნივერსიტეტის ქ. №80.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69472621; ლოტის ნომერი: 694726).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 10 მარტის 10:00 საათამდე.

◎ დღეს

მესამე კანდიდატი

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები დღეს ნამდვილ წევრთა მორიგ საერთო კრებაზე (ყრილობა) გაიმართება.

19 თებერვალს მესამე საპრეზიდენტო კანდიდატად **იოსებ ტყემალაძე** დარეგისტრირდა, რომელიც 24-მა ნამდვილმა წევრმა წარადგინა. იგი კონკურენციას საჯარო რეესტრის მიერ მოვალეობაშეჩერებულ ირაკლი აბუსერიძესა და ბაჩო ხურციძეს გაუწევს.

იოსებ ტყემალაძის წარმდგენი სუბიექტები: **სარაგბო კლუბი ბათუმი, რაგბის კლუბი აია, სარაგბო კლუბი დინამო, რაგბის კლუბი ლელო, რაგბის კლუბი ს.ტ.უ ყოჩები, ქუთაისის რაგბის კლუბი ბაგრატი, რაგბის კლუბი არესი, ოზურგეთის რაგბის განვითარების კავშირი – არწივები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი ტაო, რაგბის კლუბი ყაზბეგი, რაგბის კლუბი კახეთი, სარაგბო კლუბი ფირალები, წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანება – დინოზავრი, სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ჭიათურის რაგბის სპორტული სკოლა, ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სარაგბო კლუბი აიეტი, ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება, სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – რაგბის სასპორტო სკოლა – ფოთის კოლხი რაინდები, სპორტული სარაგბო კლუბი იუნკერები, შპს სარაგბო კლუბი პონტო, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი, რაგბის მოყვარულთა კლუბი დევები, ბორჯომის სასპორტო სკოლა, რაგბის კლუბი წიქარა, რაშები.**

კობა კობახიძე

◎ დეგიუტის წინ

ვილი სანიოლი თბილისშია

უკვე გაუწყეთ, რომ მუნდიალის შესარჩევი ტურნირის სტარტამდე თვენახევრით ადრე ეროვნული ნაკრების თავკაცად 43 წლის ფრანგი მწვრთნელი ვილი სანიოლი დაინიშნა. სიმბოლურია, რომ ორწლიანი კონტრაქტი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის დაბადების დღეს – 15 თებერვალს გაფორმდა – მოგეხსენებათ, ეს ისტორიული მოვლენა 1990 წელს მოხდა.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, ბუნდესლიგის ჩემპიონი და გერმანიის თასის მფლობელი წარმატებით შეუდგა სამწვრთნელო კარიერასაც საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, „ბორდოსა“ და ბოლოს, „ბაიერნში“ ანჩელოტის თანაშემწედ.

„გვიხარია, რომ სანიოლიც წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს ჩვენთან თანამშრომლობის დაწყებას და მომავალს ორივე მხარე იმედიანად ვუყურებთ“ – ამბობს სფფს პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი.**

ოპტიმისტურადაა განწყობილი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე იაშვილიც: **„ჩვენი გუნდის მომავალ დამრიგებელს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, რაც ნაკრების წევრებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. არანაკლებ ფასეულია მისი მოღვაწეობის პერიოდი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის პოსტზე. დავძენ, რომ ახალგაზრდა და ამბიციური მწვრთნელი, რომელსაც ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი, საფეხბურთო ფილოსოფიითა და სათამაშო სტილის საკუთარი ხედვით ძალიან ახლოს დგას ჩვენს ფეხბურთთან“.**

ალბათ, გულშემატკივრისთვის სანიოლის პიროვნული თვისებებიც გასათვალისწინებელია და ამ მხრივ მრავლისმეტყველია შემდეგი ფაქტორები: იგი უკმაყოფილო იყო ბავარიული გრანდიდან გათავისუფლების გამო და არც მალავდა გაბრაზებას, კლუბში უმნიშვნელო თანამდებობა რომ შესთავაზეს, ხოლო ლეგენდარულ თანამემამულე ზინედინ ზიდანს ორი წლის განმავლობაში იმის გამო არ ელაპარაკებოდა, „სამფეროვნები“ მუნდიალის ფინალში რომ დააღალატა და მატერაცისთან სკანდალურ კონფლიქტს საბედისწერო გაძევება მოჰყვა...

მათი შერიგება სანიოლის მეუღლის დამსახურებაა, რომელმაც ქორწილიდან მალევე თავის რჩეულს სთხოვა, „ზიზუ“ დაეპატიჟა. **„მე მას დავურეკე და დილით ერთად ვისაუზმეთ, თბილადაც ვილაპარაკეთ“** – ეს პრინციპული ვილის სიტყვებია.

და ბოლოს: შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებითი 4-წლიანი პაუზის შემდეგ ვილი სანიოლი დიდ ფეხბურთს 25 მარტს შვედეთში გასამართავ შესარჩევ შეხვედრაში უბრუნდება. იღბლიანი დებიუტი ვუსურვოთ ჩვენს ფრანგს, რომელიც პირველად განახლებულ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე „სამფეროვანთა“ მიერ მოგებულ შეხვედრაში გვეწვია 20 წლის წინათ, ხოლო ამჯერად – 21 თებერვალს, როცა საქართველოს სუპერთასზე თბილისის „დინამოს“ მერვე გამარჯვებას და **გიორგი ნემსაძის** პირველი ტიტულის დაუფლებას დაესწრო „გაგრასთან“ – 2:2 და პენალტებით – 5:4 (სანიოლის შტატში შედიან ტუნისელი ადელ შადლი, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით გვარამაძე და ირაკლი ჩიტაური, ფიზმომზადების მწვრთნელი კი მოგვიანებით დასახელდება).

გიორგი ზოთაძე

◎ ევრობასკეტი

ბრძოლითა შეენითა...

მომავალ წარმატებათა მოსაპოვებლად რომ ხანდახან მარცხიც საჭიროა, სპორტული ცხოვრების არაერთი მაგალითი ადასტურებს. გვსურს ვირწმუნოთ, რომ გამონაკლისი არც საქართველოს საკალათბურთო ნაკრები იქნება, რომელსაც გაისად შინ ევრობასკეტზე მოუწევს სამშობლოს ღირსების დაცვა, თანაც – სამამულო კალათბურთის საუკუნოვან იუბილეზე.

ასეთი ოპტიმისტური ვარაუდის გამოთქმის საფუძველს საპასუხისმგებლო ფორუმის შესარჩევი რაუნდის თბილისურ „ბაბლზე“ ფინეთთან გამართული შეხვედრის ზღაპრული მესამე პერიოდი გვაძლევს, რომელიც მასპინძლებმა 27:8(!) მოიგეს და მეტოქეს 19-ქულიანი ჩამორჩენა ამოუქაჩეს – 57:57. მართალია, საბოლოოდ მაინც დავმარცხდით – 70:78, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენი გუნდის ბერძენი თავკაცის – **ილიას ზუროსის** სათამაშო კრედო – ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა – პირნათლად განვახორციელეთ და „ჯვაროსანთა“ ქომაგებს ზედიზედ ორი წაგებით მიყენებული გულისტკივილი ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქეთ, მით უმეტეს – მთელ რიგ ლიდერთა არყოფნაში.

სიმბოლურია, რომ მატჩის წინ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება ელადელი სპეციალისტის სერბ კოლეგასა და წინამორბედს **იგორ კოკოშკოვს** მიენიჭა, რომელმაც ჩვენს ნაკრებში 7 წელი იმუშავა და საფუძველი ჩაუყარა მის საკალათბურთო ელიტაში დამკვიდრების პროცესს, შემდეგ სლოვენია გახადა ევროპის ჩემპიონი, მოგვიანებით პირველი ევროპელი გახდა, ვისაც ნბა-ს კლუბ „ფინიქსის დამრიგებლობის პატივი ხვდა წილად და დღეს პარალელურად სერბეთის ეროვნულ ნაკრებსა და თურქულ გრანდ „ფენერბახჩეს“ ავარჯიშებს.

რაც შეეხება ბრძოლის წმინდა სტატისტიკურ მხარეს, პარტნიორთა შორის კვლავ საუკეთესონი იყვნენ **შერმადინი** – 19 ქულა, **სანაძე** – 18 ქულა და **ბურჯანაძე** – 11 ქულა, თუმცა, ცალკეულ ეპიზოდებში სუპერლიგის წარმომადგენლებმაც ივაჟკაცეს. საერთოდაც, განვლილმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ, ლეგიონერთა მსგავსად, გარკვეულწილად ქართული კლუბების წევრებზეც შეიძლება დაყრდნობა.

საქართველო – სერბეთი – 66:92, ფინეთი – შვეიცარია 92:84, საქართველო – ფინეთი 70:78, სერბეთი – შვეიცარია – 88:81.

საბოლოო მდგომარეობა: სერბეთი, საქართველო – 4-4, ფინეთი – 3, შვეიცარია – 1 მოგება.

დავძენთ, რომ ჩვენი ჯგუფის წამყვანი ტრიოს გარდა ევრობასკეტის საგზურები ასევე მოიპოვეს **იტალიამ, გერმანიამ, ჩეხეთმა, ბელგიამ, ბოსნიამ, ბულგარეთმა, ხორვატეთმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, ბრიტანეთმა, უნგრეთმა, ისრაელმა, რუსეთმა, ჰოლანდიამ, პოლონეთმა, ესპანეთმა, სლოვენიამ, უკრაინამ, თურქეთმა, ესტონეთმა და ლიეტუვამ.**

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხუთი რგოლი

იმედი ხვალის...

უძლიერეს ხორვატეთის გუნდთან ტოკიოს ოლიმპიადის წყალბურთელთა სალიცენზიო ტურნირის ყოფნა-არყოფნის ტოლფას მეოთხედფინალში „ჩაყვინთვის“ – 6:15 შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ჯერ მასპინძელ ჰოლანდიასთან დათმო ბრძოლა – 11:14, ხოლო ფინიშზე კანადას, როტერდამის აუზში უკვე მეორედ, 18:10 სძლია და საბოლოოდ საპატიო და, მომავლის თვალსაზრისით, პერსპექტიული მეშვიდე ადგილი დაიკავა.

მძაფრი ბრძოლების შემდეგ იაპონურ ფორუმზე თამაშის უფლება მონტენეგრომ, საბერძნეთმა და ხორვატეთმა მოიპოვეს, რომელმაც რევანში აიღო ჯგუფურ რაუნდში სენსაციური და ჩვენთვის საბედისწერო მარცხისათვის და რუსეთს პენალტების მარათონულ სერიაში აჯობა – 25:24(!) (ძირითადი დრო – 11:11).

სხვათა შორის, ჩრდილოელებს ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრების შანსი კიდევ რჩებათ – ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კოვიდპანდემიის ან სხვა მიზეზით რომელიმე გუნდი იქ ჩასვლაზე უარს განაცხადებს.

რაც შეეხებათ **დეიან სტანოიევიჩის** შეგირდებს, ისინი 26 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით თბილისში მსოფლიო ლიგის ეტაპს უმასპინძლებენ.

გადრი იაშვილი

◎ კორტი

სახიფათო დევნა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ღირსეულად მოიგო სეზონის პირველი დიდი მუზარადი – ავსტრალიის



ღია პირველობა (კარიერაში მეცხრედ!) და დიდი სლემის ტურნირებზე მე-18 ტიტული მოიპოვა, რითაც კიდევ უფრო მიუახლოვდა ამ კომპონენტში ლიდერებს – რაფაელ ნადალსა და როჯერ ფედერერს (20-20 ტრიუმფი).

33 წლის სერბმა ამ წარმატებით მოხსნა აგრეთვე 39 წლის შვეიცარიელი ლეგენდის რეკორდი – იგი უკვე 3111(!) კვირაა, რაც სათავეში უდგას პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის სარეიტინგო კლასიფიკაციას.

აღსანიშნავია, რომ წლეულს „ნოლე“ ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობს – რვიდან რვა გამარჯვება, მათ შორის მელბურნის კორტზე რუს დანილ მედვედევთან გამართულ ფინალში – 7:5, 6:2, 6:2, ეს კი 28-ე ფინალი გახლდათ დიდ სლემზე. სულ მთელ მარათონულ ტურნირზე ბალკანელმა 5 პარტია დათმო.

ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა აწ უკვე მსოფლიოს მეორე ჩოგანს **ნაომი ოსაკას** (იაპონია), რომელმაც ნახევარფინალში თვით სერენა უილიამსი გააწბილა, მეოთხე ტიტული კი მეორე ამერიკელის – ჯენიფერ ბრეიდის ძლევით მოიხვეჭა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ პანდემია

გახსნა დახურვისთვის?!

შეზღუდვების მოხსნის მოთხოვნით უკვე არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. ხელისუფლება, რომელიც შეზღუდვების შერბილებასთან დაკავშირებით თავიდან უკომპრომისო იყო, ნელ-ნელა დათმობაზე წავიდა, რაც ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებით ახსნა. აღდგა მუნიციპალური ტრანსპორტი, მაღაზიები, მოლები, ბაზრობები, შემდეგ ამას მოჰყვა საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის განახლება, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც არის ჩვენს საზოგადოებაში მოლოდინი, ხანმოკლე თავისუფლების შემდეგ ისევ ხომ არ ჩაგვკეტავენ.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ, როგორც კი პოლიტიკურად გააქტიურდებიან და საპროტესტო აქციებს დააანონსებენ, ხელისუფლება თავის სარეზერვო საშუალებებს აამოქმედებს და კვლავაც შეზღუდვებს დააწესებს.

ალერგოლოგ-იმუნოლოგი **ბიძინა კულუმბეგოვი** გვაფრთხილებს, რომ ვირუსი თავისი გავრცელების ბუნებრივ პოტენციალთან დაბრუნებას ცდილობს და, თუ სათანადოდ არ დავიცავთ პირბადის ტარების წესს და დისტანციას, ვირუსის ახალი ტალღა 6-8 კვირაში ისევ ცეცხლივით მოედება ყველაფერს. ამიტომ კულუმბეგოვის გაფრთხილებით, თუ ასე მოხდა, მექანიკური გახსნის შემდეგ მექანიკურადვე მოგვიწევს დაკეტვა.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე მუნიციპალურ ტრანსპორტს, მეტროსადგურს და ავტობუსს, საშუალოდ დღეში 700 ათასი მგზავრი გადაჰყავდა, 9 თებერვალს კი, ანუ მუნიციპალური ტრანსპორტის ამუშავების მეორე დღეს მეტროთი და ავტობუსით 450 ათასმა ადამიანმა იმგზავრა, რაც ნიშნავს, რომ მგზავრთა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ამ შემცირების მიუხედავად, 524 მგზავრი პირბადის გარეშე ასვლას შეეცადა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, 3790 მგზავრს კი გაფრთხილება მიეცა.

ხომ არ იქნება გახსნა დახურვისთვის და ხომ არ მოგველის უკვე მესამედ შეზღუდვებით ცხოვრება?!

თსსუ-ის პროფესორი, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი **ივანე ჩხაიძე** მიიჩნევს, რომ შეზღუდვები იმ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს, თუკი შემთხვევათა რაოდენობა ისევ 5 ათასამდე იმატებს. თუ ჩვენ გვექნება მესამე ტალღა და იგივე სიტუაცია განმეორდება, რაც ნოემბრის ბოლოს იყო, მაშინ შეზღუდვები განახლდება.

„თუმცა ადამიანების მობილობის გაზრდის მიუხედავად, შემთხვევების მატებას არ ველი. უბრალოდ, მეორე ტალღის წინ გვქონდა ძალიან ცუდი პერიოდი, ზაფხული, როდესაც არანაირი კონტროლი ნიღბის ტარებაზე დახურულ სივრცეში და თავშეყრის ადგილებში არ ყოფილა. სხვათა შორის, იგივე მოხდა ევროპის ყველა ქვეყანაში და ზაფხულში მობილობის გაზრდამ გამოიწვია მეორე ტალღა“, — აცხადებს ივანე ჩხაიძე for.ge-სთან საუბრისას.

მისივე შეფასებით, თუ არ გვექნება ნიღბის ტარების ვალდებულება, თუ ამ პროცესს არავინ გააკონტროლებს, ისევ არ დავიცავთ დისტანციას და ყველაფერი გაიხსნება, მაშინ მესამე ტალღის ალბათობა რეალურია და ამის უარყოფა არაფრით არ შეიძლება.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ფიქრობს, რომ, სანამ მასობრივი აცრა არ განხორციელდება, მანამ „ლოკდაუნიდან“ გამოსვლის შემდეგ ისევ „ლოკდაუნში“ დაბრუნების საფრთხე იარსებებს. აცრა კი იმის გარანტიაა, რომ დაავადებამ პანდემიური ხასიათი არ მიიღოს.

„ქართველებს მაქსიმალიზმი გვიყვარს — ან ძალიან კარგად ვაკეთებთ საქმეს, ან ძალიან ცუდად. პანდემიასთან ბრძოლაც კარგად დავიწყეთ, პირველ ტალღას ეფექტურად მოვერიეთ, მაგრამ მეორე ტალღამ წაგვლეკა, რადგან ხელიდან გავუშვით სადავეები. დღეში ინფიცირების 5000 შემთხვევამდე ავდიოდით. დღესაც, ვფიქრობ, რომ ქართველები პირბადის ტარების წესს არ დაიცავენ, უდისციპლინო ხალხი ვართ. მე მგონი, ამ ფსიქოეთნიკურ ფაქტორსაც ითვალისწინებს ჩვენი ხელისუფლება. ჩვენ რომ სხვა „ბეგრაუნდი“ გვქონდეს და წესრიგი დავიცვათ, მაშინ სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა“, — ამბობს ვახტანგ მაისაია ჩვენთან საუბრისას.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჩაკეტვები ეკონომიკას აზიანებს, პრეტენზიები დღევანდელი ხელისუფლების მიმართ არ გააჩნია, ვინაიდან საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ, რატომ ვართ ხანგრძლივად ჩაკეტილები კორონავირუსის პერიოდში. აქ მთავრობა არაფერ შუაშია.

ინფექციონისტი **ალექსანდრე გოგინავა** თვლის, რომ, თუ ჩვენ ყველა წესსა და რეკომენდაციას დავიცავთ, შესაძლებელია, გახსნის შემდეგ ეპიდსიტუაცია არ გაუარესდეს და არანაირად არ იყოს აუცილებელი იმავე რეგულაციებთან დაბრუნება.

ჯანდაცვის ექსპერტ **ირაკლი სასანიას** აინტერესებს, რა აზრი აქვს გახსნას, თუკი ისევ მალე დაგვხურავენ?

„ამასაც ხომ ლოგიკა უნდა ჰქონდეს? შეზღუდვები მოიხსნას იმისთვის, რომ მერე დაგვხურონ? რაღაც ქმედებას ყოველთვის მიზანი აქვს, ასე რომ, მე არ მესმის, რა მიზანს ემსახურება გახსნა, თუკი დაგვხურავენ?“

მარიამ ლოლაშვილი

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს მეცნიერთა პროფკავშირის თავმჯდომარეს ჯანსუღ ლორთქიფანიძეს გარდაეცვალა მეუღლე

ნინო ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი მხატვრის, პედაგოგის

შოთა კასრაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს და ახლობლებს.

წინ მარადისობაა!

უახლოესი მეგობრები ვაჟა აბაკელიას ოჯახი, ალი ბაბაევი, ვენედი ბენიძე, მინდია ბერეკაშვილი, გია გაგუა, ომარ გარმელიძე, ოლეგ კაკაურიძე, ბორის კვარაცხელია, ნესტან კირთაძე, ტატო ლასხიშვილი, გია მეფარიშვილი, რომან მხეიძე, ბონდო მძინარაშვილი, თენგიზ პაჭკორია, ნუგზარ რეხვიაშვილი, ზურაბ რეხვიაშვილი, დალი სადათიერაშვილი, გელა უგრეხელიძე, ვაჟა ფიფია, მიხეილ ფოფხაძე, თემურ ქარჩავა, კახი ქენქაძე, ბორის ჩაკვეტაძე, ლერი ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, არნო ხიდირბეგიშვილი, სოსო ჯაჭვლიანი იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების, უნიჭიერესი ჟურნალისტის, სამშობლოსა და თავისი პროფესიის ერთგული მსახურის

ბესიკ ფიფიას

გარდაცვალებას.

ის იყო კაცი, რომელთანაც ურთიერთობა გიხაროდა, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ ქვეყნად... მასთან ერთად მრავალი სიხარული აღგვინიშნავს და არანაკლები ტკივილი გადაგვიტანია. იგი ჭირსა და ლხინში მუდამ გვერდში მდგომი იყო.

მშვიდობით, ჩვენო ბესიკ...

ნათელში ამყოფოს შენი სული ქვეყნის გამჩენმა...

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა...

კიბერშეტევა შსს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე



23 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე სხვადასხვა ქვეყნიდან კიბერშეტევა განხორციელდა. ინფორმაციას თავად შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფმა, ოპერატიული მოქმედებების შედეგად, შეტევა აღკვეთა.

გამოძიება კომპიუტერული მონაცემის ანდა კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენებისა და ხელყოფის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე და 286-ე მუხლებით მიმდინარეობს.

* * *

მამუკა მდინარაძის ინფორმაციით გუშინ მასობრივი კიბერშეტევა განხორციელდა როგორც „ქართული ოცნების“, ასევე სახელმწიფო უწყებების ვებგვერდებზე. მმართველ პარტიაში ფიქრობენ, რომ ეს არის იმ გეგმის ნაწილი, რომელიც ნეობოლშევიკებმა ვერ მოახერხეს.

„საბოლოო ჯამში, შეიძლება ვთქვა, რომ მათ ვერ გაბედეს წინააღმედგობის გაწევა კანონისა და სახელმწიფოს მიმართ. ეს ვინც ასე გააკეთა, სწორი საქციელია. ვინაიდან ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

პროგნოზირებენ ახალი პანდემიის დაწყებას

კენტუკის **უნივერსიტეტის მოლეკულური და უჯრედული ბიოქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რებეკა ჰოლანდის განცხადებით, კაცობრიობა ახალი, კორონავირუსზე გაცილებით სახიფათო პანდემიის საფრთხის წინაშე დგას.**

ეს არის ვირუსი ნიპა (Nipah), რომლის სიკვდილიანობის პროცენტი 45-75-ს შორის მერყეობს. ვირუსის სიმპტომებია შეშუპება, კრუნჩხვა, პირღებინება და სხვ. ნიპა შეიძლება ასიმპტომური იყოს, მაგრამ მას შეუძლია სუნთქვის დაავადებების და ენცეფალიტის პროვოცირება. მეცნიერები ასევე გამოხატავენ შეშფოთებას ვირუსის ხანგრძლივი ინკუბაციური პერიოდის გამო, რომელიც 45 დღემდე გრძელდება.

ნიპას მატარებლები ღამურები და ღორები არიან. 1999 წელს ნიპას ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად მილიონზე მეტი ღორი მოკლეს.

ვაქცინის მისაღებად რას არ მოიფიქრებ...

ფლორიდაში 34 და 44 წლის ქალებმა კორონავირუსის ვაქცინის მისაღებად თავის მოხუცებად გასაღება სცადეს.

ქალები ცენტრში მოხუცებად გადაცმულები მივიდნენ — მათ ქუდები, ხელთათმანები და სათვალეები ეკეთათ. თან, ვაქცინის პირველი დოზის მიღების შესახებ საბუთებიც ჰქონდათ, თუმცა სამართალდამცველებმა ვერ გაარკვიეს, როგორ მოახერხეს მათ პირველი აცრის გაკეთება.

როცა ვაქცინაციის ცენტრში ქალების საბუთები შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ოლგა მონროი-რამირესისა და მარტა ვივიან-მონროის მართვის მოწმობებში დაფიქსირებული დაბადების თარიღი მათ მიერ ცენტრში მითითებულ მონაცემებს არ ემთხვეოდა. ცენტრის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებმა ქალებს განუმარტეს, რომ ვაქცინის ურიგოდ მიღების განმეორებითი ჩვენების შემთხვევაში ქალებს დააპატიმრებენ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲡᲕᲐ NASA-Მ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ?!

NASA-Ს ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲡᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲖᲔᲠᲝᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲯᲓᲐ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲖᲝᲜᲐ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲢᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲘᲡᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲓᲐᲜ; ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ �პᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ 60-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ. �პᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲔᲖᲔᲠᲝᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲖᲔ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ.

ᲔᲖᲔᲠᲝᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲡᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ. 3,5 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲢᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲥᲛᲜᲘᲓᲔᲜ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲖᲝᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲣᲚ ᲢᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲥᲛᲜᲘᲓᲔᲜᲓᲜᲔᲜ. თუ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲪᲘᲗᲝᲗᲘ ᲢᲑᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲐᲜ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲖᲔ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲬᲧᲚᲘᲐᲜ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲖᲔᲠᲝᲖ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲪ ᲧᲕᲐᲝᲓᲐ. თუ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲪᲐᲠᲝᲗ ᲢᲑᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲐᲜ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲖᲔ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲬᲧᲚᲘᲐᲜ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲖᲔᲠᲝᲖ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲪ ᲧᲕᲐᲝᲓᲐ. ᲗᲣ